აგვისტო 8-9
1996 წ.

# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი № 135-136 (428-428)
The KAVKASIONI
ფასი 40 თეთრი






## მანევრები — მანევრების წილ

გულრიფშის რაიონში დამთავრდა სამხედრო მანევრები. სწავლებას თავად აფხაზ სეპარატისტთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ვლადისლავ არძინბა ხელმძღვანელობდა. მანევრებში მონაწილეობდნენ ქვეითთა, სამხედრო-საზღვაო და ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ქვედანაყოფები, დამუშავდა მოწინააღმდეგის საზღვაო დესანტის განადგურების ამოცანა.

მეთვალყურეები ვარაუდობენ, რომ ვლადისლავ არძინბა ცდილობს, გაანეიტრალოს დასავლეთ საქართველოში არმიის ფართომასშტაბიანი მანევრები და შესაძლო დაპირისპირების შემთხვევისთვის თავისი მზადყოფნის დემონსტრირება მოახდინოს.

BGI

## არძინბა თავს იფასებს

სოხუმიდან, სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, მიღებულია ვლადისლავ არძინბას მიერ გაკეთებული განცხადების ტექსტი, სადაც იგი კატეგორიულად უარყოფს თითქოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა მზადდებოდეს. „ეს არ მოხდება, ამაზე ნურც ოცნებობენ ქართველი პოლიტიკოსები მანამ, სანამ აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებენ. „აფსნის" საზღვრები წმიდათაწმინდაა და ხელშეუხები", — აცხადებს ვ.არძინბა.

იფრინდა

## აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება

იხილეთ მე- 2 გვერდი

SOS !!!

## მოერიდეთ უცხოურ ხორცის კონსერვებს!

„მოერიდეთ ხორცის კონსერვებს, რომლებიც გამოშვებულია ჰოლანდიაში, გერმანიაში და იტალიაში. მათი დამზადებისას გამოყენებულია ავადმყოფი საქონლის ხორცი", — ასეთი მოწოდებით მიმართა იმერეთის მხარის ადმინისტრაციამ მოსახლეობას. საქმე იმაშია, რომ ქუთაისის ვეტერინარულმა სამსახურმა აღმოაჩინა უხარისხო კონსერვები, რომლის გავრცელების არეალის კონტროლი ყოველთვის არ ხერხდება. დადგინდა, რომ ეს კონსერვები ქუთაისში შეიტანეს თბილისიდან და ისინი ნაყიდია დედაქალაქში ელიავას ქუჩაზე და ვაგზლის მოედანზე მდებარე მაღაზიებში.

BGI

## საქართველო «თეთრი სიკვდილის» საფრთხის წინაშე!

საქართველოში რეგისტრირებული 5 ათასამდე ნარკომანის მიღმა რეალურად 100 ათასამდე ნარკომანი დგას. საკმაოდ ორგანიზებულად ჩამოყალიბდა „შიდა ბაზარიც" სვანეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, — აღინიშნა გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამის განხორციელების სამთავრობო კომისიის სხდომაზე. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გ.გვეტაძემ აღნიშნა, კომისიის საქმიანობისთვის 1997 წლის ბიუჯეტში 2 მილიონი ლარია გათვალისწინებული. დანარჩენი საჭირო სახსრები კი კომისიაში შემავალმა სამსახურებმა თვითონ უნდა მოიზიდონ.

იფრინდა

## წუთშესვენება სამხედრო მანევრების წინ

...მიმდინარე წლის აგვისტო სა-...ლოს სამხედრო ძალების ...აში ორი უმნიშვნელოვა-...ვლენით აღინიშნება.

7 აგვისტოს სენაკის რაიონის ... ყულევის პოლიგონზე სა-...ოურო-საშტაბო მანევრებში ...ებიან თავდაცვის ...ინისტ-...ო მოტომსროლელი ...რიგადე-..., ბატალიონები, ...ლკ...ული დი-...ზიონები და ას...ლები. ველზე გასული 3000 ჯარისკაცი და ოფიცერი გაითამაშებს მოწინააღმდეგის შემოჭრის მოგერიებისა და კონტრშეტევაზე გადასვლის თემას, ანუ, როგორც სუვოროვი იტყოდა, დაღვრის ოფლს, რათა სისხლის ღვრა აიცილოს; საცეცხლე ხაზზე გავა ათეულობით ჯავშანტექნიკა, არტილერია, ავიაცია და სამხედრო ფლოტი.

იხილეთ მე—2 გვერდი

## გვალვამ და უვიცობამ მოსავალი დაღუპა

**წესიერი მარცვლეული ვერც საკვებად შემოაქვთ და ვერც სათესლედ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ სფეროში კომპეტენტური აღარავინ გვყავს.**

7 აგვისტოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს პრესცენტრის ინიციატივით ჟურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა.

პრესკონფერენციაზე მოწვეულები იყვნენ: სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის უფროსი სიმონ უდუნაშვილი, მიწის კადასტრის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქიშვარდ კვიციანი, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი რომან კაკულია, ტასისის პროექტების ექსპერტი პიტერ შოუ.

იხილეთ მე—7 გვერდი

## განადგურდა კანაფის ნათესები

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს, სამეგრელოს მხარისა და ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებმა მესტიის რაიონის ტერიტორიაზე მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთიდან (სულ 24 ოჯახი) ამოძირკვეს და გაანადგურეს 2 759 ძირი კანაფი, რომელთაგან, ექსპერტების დასკვნით, დამზადდებოდა 55 კილოგრამი და 180 გრამი მარიხუანა.

იფრინდა

## დალის ხეობაში გოგონა დაიბადა
### თუმცა, ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა ხეობის პრობლემები

6 აგვისტოს კოდორის ხეობის სოფელ აჟარიდან რაციით გადმოსცეს, რომ სასწრაფო დახმარება სჭირდებოდა ახალგაზრდა ქალს — ნატო არღვლიანს, რომელსაც მძიმე მშობიარობა ჰქონდა. კოდორის ხეობის განვითარების და აღორძინების ფონდის პრეზიდენტი ემზარ კვიციანი რამდენიმე საათის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ვერტმფრენის შოვნას. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს სახსრების უქონლობის გამო არ შეეძლო დახმარება, თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელები დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ, სამოქალაქო ავიაციის ვერტმფრენები კი ფრენისთვის არ იყვნენ მზად. მას შემდეგ, რაც საქმეში სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი ჩაერია, მოხერხდა სპეციალური ვერტმფრენის გამოყოფა, რომლითაც ხეობაში ჩაფრინდნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი ბერია და ექიმთა ოთხკაციანი ჯგუფი მედიკამენტებით.

საბოლოოდ, მშობიარობამ კარგად ჩაიარა და არღვლიანების ოჯახს გოგონა შეემატა, მაგრამ ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა კოდორის ხეობის პრობლემები. აქაური მოსახლეობა მოწყვეტილია საქართველოს, მათთვის დახმარების გაწევა კი ყოველთვის ურთულეს პრობლემებთან არის დაკავშირებული. ხეობაში არ არის ექიმი, ხოლო როცა ავადმყოფის დასახმარებლად სასწრაფო დახმარებაა საჭირო, ვერტმფრენის შოვნა თითქმის შეუძლებელი ხდება ხოლმე. გასულ წელს რუსეთის სამშვიდობო ძალების ვერტმფრენის პილოტებმა ხეობიდან ავადმყოფის გადმოყვანისთვის ორი ხარი მოითხოვეს და მიიღეს კიდეც. წელს, 29 ივლისს კი ავადმყოფ თემურ გურჩიანის გადმოყვანა ორი სატვირთო მანქანა ხის მასალა დაჯდა.

ჯანდაცვის მინისტრებმა შეამოწმეს აჟარის საავადმყოფო და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ხეობაში მუდმივად იქნება ექიმთა 10-15 კაციანი ჯგუფი. კარგი იქნება, თუ დალის ხეობას მეტი ყურადღება მიექცევა და ექსტრემალური შემთხვევების დროს დახმარების გაწევა უფრო მარტივად მოხერხდება ხოლმე.

სოზარ სუბელიანი

## „ახალი" ომი ჩეჩნეთში

თითქმის ორი წელია ჩეჩნეთში გრძელდება ომი _ სამხედრო დაპირისპირება ჩეჩნებსა და რუსეთის ფედერალურ ძალებს შორის. კონფლიქტის მოგვარების გზას, ვერც პოლიტიკურს და ვერც სამხედროს, რუსეთმა ვერა და ვერ მიაგნო. რამდენიმე დღის წინ ჩეჩნეთში ჩავიდა რუსეთის დელეგაცია, რომლის წევრების თქმითაც, ვიზიტის მიზანი სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლება იყო. თუმცა... ჩეჩენმა მებრძოლებმა მათ „საუბრის" ალტერნატიული ვარიანტი შესთავაზეს...




იხილეთ მე—3 გვერდი

# აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი აქტიურ მოქმედებას იწყებს

**გუშინ აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარმა საბჭო, თავმჯდომარის მურმან ბერიას, მოადგილეების: ზურაბ პაპასქირისა და იური ქვაჩახიას ხელმძღვანელობით პრესკონფერენცია გამართა. მათ მასმედიის წარმომადგენლთა წინაშე წაიკითხეს განცხადება, რომელსაც სრულად გთავაზობთ.**

### აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება

როგორც ცნობილია, 1996 წლის 19 ივლისს რუსეთის ფედერაციის ე.წ. „სამშვიდობო ძალებს" კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა გაუვიდათ. ამით „სამშვიდობო ოპერაციამ", რომელზედაც ასეთ დიდ იმედებს ამყარებდა საქართველოს ხელისუფლება, გაუბედურებული დევნილი მოსახლეობა, სრული კრახი განიცადა. დაპირება იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ნაწილები უზრუნველყოფდნენ დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებას მშობლიურ ადგილებში, კიდევ ერთი ცინიზმით აღსავსე სიცრუე აღმოჩნდა. განვლილი ორი წლის განმავლობაში, რაც ხორციელდებოდა ე.წ. „სამშვიდობო ოპერაცია", ვერა თუ ვერ მოხერხდა დევნილთა მასობრივი დაბრუნება აფხაზეთში, არამედ პირიქით, უფრო მეტი ინტენსივობით გაგრძელდა იქ ჩარჩენილი ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

„სამშვიდობო ოპერაციის" ჩაშლამ, რაც დღეს უკვე სრულიად აშკარაა, ერთხელ კიდევ ნათლად აჩვენა რუსეთის ფედერაციის, როგორც სამშვიდობო პროცესის გარანტის, სრული უსუსურობა და უნიათობა. უფრო მეტიც, გამართლდა ეჭვი, რომ რუსეთის მხარეს არც ჰქონდა განზრახული ჩაეტარებინა აფხაზეთში ყოვლისმომცველი სამშვიდობო ოპერაცია, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის რეალური აღდგენა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ერთადერთი ამოცანა, რომელსაც რუსეთის სამშვიდობო ძალებმა ამ ხნის მანძილზე მართლაც „წარმატებით" გაართვეს თავი, ესაა ხელოვნურად შექმნილი აფხაზეთის ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის" დაცვა, რითაც უზრუნველყვეს ვ.არძინბას ფაშისტური რეჟიმის უსაფრთხოება.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, საზოგადოებრივმა მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირმა" 1996 წლის 17 ივლისს ქ. ზუგდიდში, ხოლო 19 ივლისს ქ.თბილისში მოაწყო გამაფრთხილებელი საპროტესტო აქციები, რომელზედაც ცალსახად გამოიხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება სამშვიდობო ოპერაციის შემდგომი გაგრძელებისადმი და საქართველოს ხელისუფლების წინაშე რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალების" კონფლიქტის ზონიდან დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი დააყენა. სამწუხაროდ, დევნილთა ამ სამართლიან მოთხოვნას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამასობაში კი რუსეთის „სამშვიდობო" ნაწილები, ამჯერად უკვე ყოველგვარი საკანონმდებლო ბაზის გარეშე, განაგრძობენ თავიანთი მისიის შესრულებას და არც კი ფიქრობენ კონფლიქტის ზონის დატოვებას. მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებებს სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის შეცვლის თაობაზე, რომლებიც რატომღაც მხოლოდ 19 ივლისის შემდეგ განახლდა, ბოლო არ უჩანს და თუ გავითვალისწინებთ ახლო წარსულის გამოცდილებას, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამან რაიმე შედეგი გამოიღოს.

ასეთ ვითარებაში განცვიფრებას იწვევს საქართველოს პარლამენტის პასიურობა, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ 1996 წ. 17 აპრილის დადგენილების თანახმად, რუსეთის სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის ზონა ჯერ კიდევ 1996 წ. 19 მაისს უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა, გამოამჟღავნა რა საკუთარი დადგენილებისადმი სრული უპატივცემულობა, ჯერ იყო და წაუყრუა აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებას რუსეთის „სამშვიდობო ძალების" კონფლიქტის ზონაში კიდევ ორი თვით დატოვების შესახებ, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ მას არავითარი რეაგირება არ მოუხდენია აღნიშნულ ფაქტზე. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტმა უხეშად დაარღვია თავისი დადგენილება და არ მოიწვია საგანგებო სხდომა, რომელზედაც სწორედ ხსენებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე უნდა ემსჯელა.

საქართველოს ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება ქვეყნის ყველაზე მტკივნეული საკითხისადმი იწვევს აფხაზეთიდან გამოდევნილი გაწამებული და გაუბედურებული მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას. აქედან გამომდინარე, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი", რომელიც წარმოადგენს აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის ფართო საზოგადოებრივ მოძრაობას, იძულებულია კატეგორიულად მოითხოვოს პრეზიდენტისა და პარლამენტისგან მათთვის კონსტიტუციით დაკისრებული მოვალეობების შესრულება — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, რის პირობად მიგვაჩნია რუსეთის მხარის შუამავლობაზე საბოლოოდ უარის თქმა, კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალების" დაუყოვნებლივ გაყვანა და ქმედითი და არა მოჩვენებითი ნაბიჯების გადადგმა აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად.

# «რუსთავი 2»-ის სასამართლო გადაიდო

## რადგან მომჩივნები მაუწყებლობის აღდგენასთან ერთად ზარალის ანაზღაურებასაც ითხოვენ

**გუშინ მთაწმინდის რაიონის სასამართლოში გაგრძელდა „რუსთავი 2"-ის გაუქმებასთან დაკავშირებული სასამართლო, რომელსაც მოსამართლე კახტანგ თალაკვაძე თავმჯდომარეობდა. სასარჩელო განცხადება „მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის უკანონო შეწყვეტის შესახებ" შეიტანა საინფორმაციო-სარეკლამო სააგენტო „გამა +"-ის დირექტორმა ჯარჯი აქიმიძემ, მოპასუხედ და თანამოპასუხედ კი კავშირგაბმულობის და იუსტიციის სამინისტროები გამოდიან. სასამართლომ დააკმაყოფილა „სტუდიო №PL"-ის შუამდგომლობა და რამდენადაც საქმე ამ ორგანიზაციას „არსებითად შეეხება", იგი მოპასუხის მხარეზე მესამე პირად ჩაერთო.**

**მონაწილეობის უფლების მიღებისთანავე „№PL"-ის ადვოკატმა მედეა ჭაფიძემ განაცხადა, რომ ეს საკითხი არ უნდა განეხილა სასამართლოს, რადგან იგი ადმინისტრაციული წესით უნდა გადაწყდეს. სხვა მხარეები არ დაეთანხმნენ ამ მოთხოვნას. „გამა +"-ის ადვოკატმა ლია მუხაშავრიძემ პრესის კანონი მოიშველია, რომლის მეთორმეტე მუხლის თანახმად „მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის სრული შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია", კავშირგაბმულობის სამინისტროს ლიცენზირების და სერთიფიცირების თავმჯდომარის მოადგილე მერაბ ჭელიძემ კი განაცხადა, სჯობს, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, თუ ვინ არის მართალი.**

**იუსტიციის სამინისტრომ სცადა სასამართლოში მონაწილეობა აეცილებინა. „ჩვენ ორ ზოგად შეკითხვაზე გავეცით პასუხი, ხოლო როგორ გამოიყენა ეს პასუხები სამინისტრომ, მისი საქმეა და მოპასუხეც ის უნდა იყოს", — განაცხადა იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციის განყოფილების უფროსმა სოსო მუმლაძემ. მოსამართლემ მხარი დაუჭირა „გამა +"-ის მოთხოვნას, რომ იუსტიციის სამინისტრო დარჩენილიყო თანამოპასუხედ, რადგან კავშირგაბმულობის სამინისტროს დადგენილებები იუსტიციის ნერილებს ეყრდნობოდა.**

**საბოლოოდ, სასამართლო სარჩელის ნაუკითხავად გადაიდო. აღმოჩნდა, რომ მოსარჩელეები აპირებენ მოითხოვონ მათთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურება, სარჩელი კი ჯერ მზად არ ჰქონდათ. ამას მოსამართლის დაღლილობაც დაემატა და ამ უკანასკნელმა სასამართლოს გადადება არჩია. „ჩვენ გვჭირდება, რომ თქვენ ცინცხალ გონებაზე იყოთ, ამიტომ, ჯობს, სასამართლო გადაიდოს," — დაეთანხმა მოსამართლის გადაწყვეტილებას ლია მუხაშავიძე. სასამართლო დღეს განაგრძობს მუშაობას.**

სოზარ სუბელიანი



# საქართველო დაგვიბერდა

**სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, რესპუბლიკაში ყოველი ათასი მცხოვრებიდან 204 პენსიონერია. სულ რესპუბლიკაში პენსიონერების რაოდენობა 1 104 ათას კაცს აღწევს, აქედან 5,9 პროცენტი მუშაობს, 14,4 პროცენტი — ინვალიდია, 16 წლამდე ასაკის ინვალიდთა რიცხვი კი 8502-ს შეადგენს.**

**მოქალაქეთა ეს კატეგორია სპეციალური უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობს.**

**Кавказ-Пресс**

# წუთშესვენება სამხედრო მანევრების წინ

**პირველი გვერდიდან**

**ასეთი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები პირველად ტარდება საქართველოში და მას უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის.**

**სწორედ ამიტომ, სწავლების ხელმძღვანელმა, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა შემდეგი შინაარსის პოლიტიკური განცხადება გამოაქვეყნა:** „დამოუკიდებელ საქართველოს ბოლო დრომდე რეგულარული არმია, ფაქტობრივად, არ ჰყოლია. ამ გარემოებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოებრიობას, მთლიანად ქვეყანას — დაირღვა მისი ტერიტორიული მთლიანობა, ასეულ ათასობით ადამიანი საკუთარ მიწაზე ლტოლვილად იქცა, ეკონომიკას უკანონო შეიარაღებული ფორმირებები დაეპატრონენ და ქვეყანაში ქაოსმა დაისადგურა.

საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, სამართალდამცავ ორგანოებს, თავდაცვის სამინისტროს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა ქვეყანაში აღდგენილიყო კონსტიტუციური წესრიგი და კანონის უზენაესობა განმტკიცებულიყო.

ჩვენი ქვეყანა დღესაც აწყდება ეკონომიკურ და სხვა სახის სიძნელეებს, "მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა საქართველოს შეიარაღებული ძალები ფეხზე დადგნენ, ძალა მოიკრიბონ და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, მისი სუვერენიტეტის, ჩვენს თანამემამულეთა უსაფრთხოების გარანტად იქცნენ.

არმიის განვითარების ყველაზე აპრობირებული და აუცილებელი ფორმა — სამხედრო სწავლებებია. ამიტომაც შეიარაღებული ძალების გეგმაზომიერი მშენებლობის მიზნით ჩატარდა რიგი სწავლებები, მათ შორის ა.წ. 4 აპრილს ალგეთის სასწავლო პოლიგონზე გამართული მანევრები ფართოდ გაშუქდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

ამჟამად დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი გეგმიური სწავლება მზადდება. არსებული წესის თანახმად, შეტყობინება გაეგზავნა შესაბამის ადრესატებს, კერძოდ, სწავლების შესახებ ინფორმირებულნი არიან დსთ-ს სამშვიდობო ძალები და გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისია.

ჩვენი თანამემამულენი უნდა დარწმუნდნენ, რომ სამხედრო აღმშენებლობის პროცესი განუხრელად ვითარდება. იმედი გვაქვს, მათ გაუჩნდებათ რწმენა, რომ უახლოეს მომავალში გვეყოლება მაღალდისციპლინირებული, საუკეთესოდ ორგანიზებული რეგულარული არმია, რომელიც ქართული სახელმწიფოს ინტერესებს დაიცავს და ჩვენი ხალხის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს".

**გარდა ამისა, 14-30 აგვისტომდე აშშ-ში, კემპ-ლიუჟენის სამხედრო ბაზაზე, ნატოს პროგრამის — „პარტნიორობა მშვიდობისთვის" — ფარგლებში ჩატარდება მრავალეროვანი სამხედრო წვრთნა, რომელშიც პირველად სამხედრო ძალების ისტორიაში მონაწილეობას მიიღებს 47 ქართველი სამხედრო მოსამსახურე. პროგრამით გათვალისწინებულია ისეთი სამხედრო-ჰუმანიტარული ოპერაციების დამუშავება, როგორებიცაა, მხარეთა დაშორიშორება, საკონტროლო-გამშვები პუნქტების ორგანიზება, პატრულირება (მათ შორის ქალაქში), რეაქცია სნაიპერის ცეცხლზე, განაღმვა, ჰუმანიტარული ტვირთებისა და დევნილთა ნაკადის გაცილება და ვარჯიშები საცეცხლე მომზადებაში.**

**ქართული კონტინგენტის ძირითად ჯგუფს შეადგენენ თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის მსმენელები. სწავლებაზე წარმოდგენილი იქნება 21 სახელმწიფო, მათ შორის, აშშ, კანადა, ავსტრია, უნგრეთი, ჩეხეთი და სხვა ქვეყნები.**

**ალბათ, უსაგნო ოპტიმიზმში არ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვით, რომ ეს ორი სწავლება განამტკიცებს ქართული ჯარის სიძლიერეს და ხელს შეუწყობს მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.**

კობა ლიკლიკაძე

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი

# რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაციის ზოგიერთი დეტალი

საქართველოს პრეზიდენ... ედუარდ შევარდნაძე მონაწილე... ბას მიიღებს 9 აგვისტოს რუს... თის პრეზიდენტის ინაუგურაცი... ცერემონიალში. როგორც რუს... თში საქართველოს საგანგებო ... სრულუფლებიანი ელჩი ვაჟა ლო... რთქიფანიძე იტყობინება, ედუა... შევარდნაძის ოფიციალური შ... ვედრა ბორის ელცინთან ... გაიმართება, რადგან იგი ... დანვე არ ყოფილა დაგეგმ... ამასთან, ელჩის თქმით, რუსე... პრეზიდენტის ჯანმრთელობ... მდგომარეობა რამდენადმე გა... რესდა და ამ მიზეზით, ინაუ... რაციის ცერემონიალის ხანგრძ... ვობა მინიმუმამდე შემცირდება.

Кавказ-Пресс

# ამერიკის პოზიცია ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო პოლიტიკის კომიტეტში მოეწყო ამიერკავკასიაში ამერიკის პოლიტიკის საკითხის მოსმენა.

„ამერიკის შეერთებული შტატები ამიერკავკასიის ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკების მიმართ ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების, უფრო ფართო რეგიონალური თანამშრომლობისა და ინტეგრაციისკენაა მიმართული", — განაცხადა ჯონ პერბსტმა, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი სსრკ-ს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების კოორდინატორის მოადგილემ.

მისი თქმით, რეგიონს საიმედო პერსპექტივები აქვს — იგი წარმოადგენს კასპიის ზღვის აუზში ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, ენერგორესურსების უდიდეს წყაროს. პერბსტის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა სომხეთთან, აზერბაიჯანთან, საქართველოსთან ინტენსიურ ხასიათს ატარებს და მაღალ დონეს მიაღწია. დეპარტამენტის პასუხისმგებელმა პირმა აგრეთვე აღნიშნა, რომ აშშ კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ რეგიონში გავლენის სფეროების კონცეფციას და ცდილობს, აღკვეთოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შეზღუდვის ცდები.

გაანალიზა რა საქართველოში არსებული სიტუაცია, პერბსტმა შენიშნა, რომ „დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა სამოქალაქო ომმა და შიდა არასტაბილურობამ. ამასთანავე, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას ხელს უშლიდა ინფრასტრუქტურის მოშლა და ზოგიერთი კორუმპირებული დაჯგუფების დაპირისპირება. ამის მიუხედავად, ბოლო 18 თვის მანძილზე, საქართველომ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, საგულისხმო წარმატებებს მიაღწია. თბილისმა მხედველობაში მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები და შეძლო ინფლაციის შეჩერება, შემოიღო ახალი, მტკიცე ეროვნული ვალუტა, მიიღო კანონი საბაჟო სისტემაზე, აგრეთვე მიწისა და დაბეგვრის შესახებ. აშშ მხარს უჭერდა ამ რეფორმებს, რომელიც 1992 წლიდან დაიწყო. დახმარების საერთო მოცულობა 400 მილიონი დოლარია".

ჯონ პერბსტმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ აშშ გააგრძელებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობას. „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შენარჩუნებულია შემწყნარებლობა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ, სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი ქმედება პატიმრებთან მიმართებაში სრულყოფას საჭიროებს. ამ მხრივ არსებული ზოგიერთი პრობლემა დაკავშირებულია განსაზღვრული წრეების სურვილთან, არ დაკარგონ ძალაუფლება, რომლებსაც ისინი ძველი რეჟიმის დროიდან ფლობდნენ. მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძე სასწაულებრივად გადაურჩა აგვისტოს ტერორისტულ აქტს, მან შეუტია ამ ძალებს და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია. თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ჩვენ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა გავაფართოვოთ თანამშრომლობა, აღმოვუჩინოთ დახმარება ხელისუფლებას ახალი სტრუქტურების განმტკიცების საქმეში".

პერბსტმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს, ერთი მხრივ, სურს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა გაატარონ უშუალო მეზობლებთან, კერძოდ, რუსეთთან და თურქეთთან თანამშრომლობის განმტკიცების სტრატეგია. მეორე მხრივ კი, აშშ აფრთხილებს მათ ირანთან „ახლო კავშირის საშიშროებაზე, რომელიც აგრძელებს ტერორიზმის მხარდაჭერას და ხელყოფს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სხვა ნორმებს.

პერბსტის თქმით, „მტკიცე (ამერიკულ) ხაზს, მიმართულს ირანთან რეგიონის ქვეყნების კავშირების განმტკიცების წინააღმდეგ, გაგებით შეხვდა ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფო".

BS PRESS - Кавказ-Пресс

## შადმან ვალავის ოპტიმიზმი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში შადმან ვალავიმ განაცხადა, რომ მისი აზრით, 6-7 თვის შემდეგ საქართველოში მოხდება საბოლოო ეკონომიკური სტაბილიზაცია და საქართველოს ეროვნულ ბანკს აღარ დასჭირდება ფინანსურ ბირჟაზე სავალუტო ინტერვენციების განხორციელება ლარის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

იბერია

## ბანკების საიმედობა — კითხვის ნიშნის ქვეშ

მიმდინარე წლის 6 თვეში საბანკო ოპერაციების წარმოების უფლება ჩამოერთვა 25 კომერციულ ბანკს, მათ შორის, ექვსი — სხვა ბანკს შეერწყა. განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იმყოფებიან „საქართველოს ბანკი", „გაერთიანებული ქართული ბანკი" და „აგრომრეწვბანკი", რომელთაც ერიცხებათ ბანკის ძირითადი სესხებით ვადაგადაცილებული დავალიანება მნიშვნელოვან თანხებში, (შესაბამისად — 3,9 მილიონი ლარი, 7,2 მილიონი ლარი, 5,7 მილიონი ლარი). ხსენებულ ბანკებზე მოდის საბანკო სისტემის აქტივების 54,4% და ძირითადად, ამ ბანკებშია განთავსებული მოქალაქეთა ანაბრები და იურიდიული პირების სახსრები.

ბანკების სერთიფიკაციის კომისიაზე ეროვნულ ბანკში მოწვეულ იქნა 45 ბანკი, მათგან 33-მა დადებითი შეფასება მიიღო და მოიპოვა უცხოური საფინანსო ორგანიზაციების კრედიტების დაბანდების პროცესში მონაწილეობის უფლება.

იფრინდა

## ბანკების გაერთიანების პროცესი გრძელდება

საქართველოს „ინტელექტბანკთან" ორი საბანკო სტრუქტურის — „სამეფო ბანკის" და „პონტოპოლისის" შეერთების შემდეგ, „ინტელექტბანკის" საწესდებო კაპიტალის რაოდენობა 850 მილიონიდან მილიონ 700 ათას დოლარამდე გაიზარდა. ამასთან, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბანკის სამომსახურეო სფერო: ამიერიდან „სამეფო ბანკი" მოემსახურება სატრანსპორტო და სამრეწველო დანესებულებებს, „პონტოპოლისი" კი გასცემს კრედიტებს ძვირფასი ქვებისა და ოქროს გარანტიით.

„ინტელექტბანკმა" უკვე გაიარა სერტიფიკაციაჼ, რომელიც ეროვნულმა ბანკმა ჩაატარა. ამჟამად, ბანკი „ტასისის" პროგრამით მუშაობს და ძირითადად, დაკავებულია ევროკავშირის პარტნიორობის ფონდის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტების ათვისებით.

BS-PRESS

# შეამოწმებენ ფოთის პორტს

მიმდინარე წლის ივლისის თვეში რიგმა საწარმოებმა რესპუბლიკის ბიუჯეტს მნიშვნელოვანი თანხები დააკლეს, რამაც აღნიშნული თვის ბიუჯეტის შესრულებაში გარკვეული სიძნელეები შექმნა. ამ მხრივ ძალზე ცუდი მაჩვენებლები აქვს ფოთის პორტს, რომელმაც ბიუჯეტს 530 ათასი ლარი დააკლო. სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ცნობით, აქ ძალზე რთული მდგომარეობაა შექმნილი. სამუშაოთა არასწორი ორგანიზაციის გამო, მნიშვნელოვნად მცირდება ტვირთბრუნვის მოცულობა.

მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, პორტის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მოწესრიგებას, ადგილი აქვს თანხების არამიზნობრივად ხარჯვას.

ზემოაღნიშნული საკითხების შესამოწმებლად საგადასახადო ინსპექციის მიერ გათვალისწინებულია ადგილზე ჯგუფის გაგზავნა, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის შექმნილ მდგომარეობას.

საგადასახადო სამსახურის პრესცენტრი

# «ახალი» ომი ჩეჩნეთში

პირველი გვერდიდან

6 აგვისტოს ჩეჩნეთში, კერძოდ გროზნოში, უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია. დილის 7 საათზე, ქალაქის შეიდივე რაიონში შეიჭრნენ ჩეჩენი მებრძოლები, რომლებიც ადმინისტრაციული დანესებულების შენობების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა გროზნოს ლენინისა და საქარხნო რაიონებში.

ჩეჩნებმა ბრძოლების დროს ფედერალური ძალების ხუთი ტანკისა და ათამდე ჯავშანმანქანის განადგურება მოახერხეს. ისინი, ძირითადად, ოცდაათ- ოცდათხუთმეტკაციან ჯგუფებად მოქმედებენ, მათი საერთო რაოდენობა ზუსტად არაა დადგენილი: ზოგიერთი მონაცემებით, გროზნოში ორიათასამდე მებრძოლი შეიჭრა, სხვა ინფორმაციით კი _ მხოლოდ ორასი.

იმავე დღის მეორე ნახევარში ბლოკირებული იყო ჩეჩნეთის [...]ციის შენობა. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება ოქტომბრის რაიონში, რკინიგზის სადგურის სიახლოვეს.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, არღუნსა და გუდერმესს კვლავ ფედერალური ძალები აკონტროლებენ. მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ არღუნში დრამატული მოვლენები გათამაშდა _ ჩეჩნები შეიჭრნენ კომენდატურის შენობაში, ხელში ჩაიგდეს პირველი და მეორე სართულებზე, საღამოსთვის ბრძოლამ ზედა სართულებზე გადაინაცვლა.

ამასობაში, ჩეჩნეთის კონფლიქტის დარეგულირების სახელმწიფო კომისიის მდივანმა სერგეი სტეპაშინმა გააკეთა განცხადება. მისი თქმით, თუ ზელიმხან იანდარბიევი და ასლან მასხადოვი არ გასცემენ გროზნოდან მათი ბანდიტების გასვლის ბრძანებას, კომისია იძულებული იქნება მკაცრ ზომებს მიმართოს. „ჩვენ უკვე ვესაუბრეთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელს ტიმ გულდიმანს და ვურჩიეთ, ორგანიზაციის სახელით, მკაცრი, კატეგორიული შეფასება მისცეს იმას, რასაც ჩეჩენი სეპარატისტები აკეთებენ", _ აღნიშნა სტეპაშინმა.

თავად ტიმ გულდიმანმა, მოგვიანებით, ჩეჩნების მოქმედება შეაფასა, როგორც ნაზრანსა და მოსკოვში მიღწეული სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა. ეს კი, მისი აზრით, საფრთხეს უქმნის სამშვიდობო პროცესის გაგრძელებას.

ჩეჩნების სამხედრო დაჯგუფებების შტაბის უფროსმა ასლან მასხადოვმა განაცხადა, რომ გროზნოს აღების ოპერაციას ხელმძღვანელობს შამილ ბასაევი, ოპერაციის დაწყების ბრძანება კი იჩქერიის პრეზიდენტმა იანდარბიევმა გასცა.

მიუხედავად სიტუაციის სიმძაფრისა, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა გროზნოს „გაწმენდას" იმავე საღამოსთვის გეგმავდა.

ღამით გროზნოში, მართლაც, სიმშვიდე იყო, ოღონდ იმიტომ, რომ დაბნელდა და მხარეებმა ბრძოლების შეწყვეტა ამჯობინეს. გუშინ დილით კი ომი განახლდა... დაიცხრილა ფედერალური ძალების ბლოკპოსტები, კომენდატურის შენობები. მთავრობის სახლის სიახლოვეს მდებარე საცხოვრებელი სახლები ჩეჩნებმა დაიკავეს.

გაურკვეველი იყო, რა ხდებოდა გუდერმესში. რუსი სამხედროების ინფორმაციით, გუშინ, იქ შედარებით სიწყნარე იყო. არღუნში დაფიქსირდა ორმხრივი სროლები, ადგილობრივი მილიციის შენობა, რამდენიმე საათის განმავლობაში, რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. სულ კი ჩეჩნებმა, დღის პირველ ნახევარში ფედერალური ძალების სამი ვერტმფრენი და ათეულობით საბრძოლო ტექნიკა გაანადგურეს.

გუშინვე, დღის მეორე ნახევარში ბრძოლებმა გროზნოს ცენტრში, უშუალოდ მთავრობის სახლთან, გადაინაცვლა. რადიოჩანაწერის გაშიფვრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ჩეჩნებს სწორედ ამ ადგილზე ჰქონდათ ნაბრძანები ძალების კონცენტრაცია, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ ერთზე მიანიშნებს — მათი მიზანია ხელში ჩაიგდონ სამთავრობო დანესებულებები. იმავე რაიონშია რუსეთის წარმომადგენლობის სასტუმრო, რომელშიც, დიპლომატების გარდა, იმყოფებოდნენ 20-მდე ჟურნალისტი, ათეულობით სამოქალაქო პირი, რომლებიც გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სასწრაფო დახმარებას საჭიროებდნენ, ევაკუაცია კი თითქმის შეუძლებელი იყო. მათ სასტუმროს სარდაფში გადაინაცვლეს.

გუშინვე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა იგორ როდიონოვმა განაცხადა, რომ მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას და ყველა ზომას მიიღებს უდანაშაულო ადამიანების გადასარჩენად. ბოლო ორ დღეში, წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა ასამდე და დაიჭრა 200-მდე რუსი სამხედრო მოსამსახურე.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლებედის განცხადებით, ჩეჩნეთის საკითხის მოგვარების ორივე გზა — ლიბერალური და რადიკალური უშედეგო აღმოჩნდა, თუმცა, მას მიაჩნია, რომ კონფლიქტის გადაჭრის შანსები ჯერ კიდევ არსებობს.

საერთაშორისო მიმომხილველები თვლიან, რომ ბოლო დღეებში ჩეჩენ მებრძოლთა გააქტიურება 9 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაციას უკავშირდება და ელცინისთვის ზეიმის „ჩაშნარებას" ისახავს მიზნად.

ირინე შაფათაძე

# ინციდენტი ყაჩაღების გამო

სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის სამხედრომოსამსახურეებმა მძევლად აიყვანეს ქართველი ეროვნების მოქალაქე. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ორი ბოროტმოქმედი სოფელ წვერის მცხოვრები თენგიზ გენიაშვილისთვის მანქანის წართმევას შეეცადა და დაჭრა იგი. ეს მოხდა ქარელის რაიონის სოფელ დირბის მიდამოებში. შემთხვევის ადგილზე მისულმა ქართულმა პოლიციამ ორმხრივი სროლის დროს მოკლა ერთ-ერთი ბოროტმოქმედი — ოსი ვადიკ კოკოევი.

ამის შემდეგ ოსური ბატალიონის სამხედრომოსამსახურეებმა მძევლად აიყვანეს მინდორში მომუშავე სოფელ დირბის მცხოვრები.

მოგვიანებით, საქართველოს პოლიციისა და სამშვიდობო ბატალიონის ხელმძღვანელობის შეთანხმების საფუძველზე, მძევალი გაათავისუფლეს.

BGI



## ჟურნალისტის სვეტი

სოზარ სუბელიანი

# ნარკომანი ჩვეულებრივი ავადმყოფია

მსოფლიო ნარკობიზნესის რუკაზე საქართველო უკვე ცნობილია, როგორც ნარკოტიკების გადაზიდვის ერთ-ერთი აქტიური გზა. იზრდება ნარკოტიკების შემცველი მცენარეების მოყვანაც. ნარკობიზნესისა და ნარკოტიკების დამზადების წინააღმდეგ ბრძოლა სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერებულ მუშაობას მოითხოვს, ნარკომანიის წინააღმდეგ კი მთელი საზოგადოების ძალისხმევის მიმართვაა საჭირო.

საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, ხუთი ათასი ნარკომანია აღრიცხული, მაგრამ ეს ციფრი მიახლოებითაც ვერ ასახავს რეალურ ვითარებას. სპეციალისტები ასახელებენ ნარკომანთა სხვადასხვა რაოდენობას — 15-დან 250 ათასამდე. „მოსახლეობის 1-5 პროცენტი ნარკომანია", — ამბობენ ისინი, თუმცა ამ ვარაუდის გამაგრება ოფიციალური მონაცემებით არ ხერხდება. არადა, ზუსტი მონაცემების გარეშე სენთან ბრძოლა გაძნელდება.

ნარკომანიაზე მსჯელობისას ხშირად წამოიჭრება კითხვა — „ვინ არის ნარკომანი — დამნაშავე თუ ავადმყოფი?" ამ კითხვაზე პასუხის გაუცემლად ნარკომანიასთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება შეუძლებელია.

ცივილიზებულ ქვეყნებში ნარკომანი დამნაშავედ აღარ მიიჩნევა, რამაც ნარკომანიასთან ბრძოლა უფრო ეფექტური გახადა. მოზარდთა უმრავლესობა, რომელიც ცნობისმოყვარეობის გამო სინჯავს ნარკოტიკს, მალევე ანებებს მას თავს. სულიერად გაწონასწორებული და დამოუკიდებელი ახალგაზრდა იშვიათად ხდება ნარკომანი. ნარკომანია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობაა. ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი, უმეტეს შემთხვევაში, მათი საშუალებით გაურბის ცხოვრების მკაცრ სინამდვილეს. როცა ადამიანი ნარკომანი ხდება, ეს ნიშნავს, რომ მას დახმარება სჭირდება. ამას, ძალიან ხშირად, თვითონაც გრძნობენ, მაგრამ დახმარების თხოვნის მაგივრად, იძულებულნი არიან, კანონის მკაცრ მოთხოვნებს დაემალონ.

ხშირად ნარკომანი სრულიად ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანიც ხდება. ახალგაზრდობის გარკვეულ წრეებში ნარკომანია პრესტიჟულიც კი გახდა. საზოგადოებრივი აზრიც ხშირად შემწყნარებლურად არის განწყობილი და ნარკომანიასთან ბრძოლის მთელი სიმძიმე პოლიციას აქვს მინდობილი. არ ხდება ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა. არადა, ნარკომანია არა მხოლოდ ავადმყოფობაა, არამედ ცხოვრების პათოლოგიური წესია და მისი განხილვა საზოგადოებისგან მოწყვეტით არ შეიძლება.

როცა ვამბობთ, რომ ნარკომანი დამნაშავეა, ზუსტად უნდა განისაზღვროს — რაში გამოიხატება მისი დანაშაული. ის ფაქტი, რომ ნარკომანი „ლომკის" დროს მზად არის დანაშაული ჩაიდინოს, ოღონდ ნარკოტიკი იშოვოს, არ არის საკმარისი მის დამნაშავედ გამოსაცხადებლად. იგივე შეიძლება ითქვას ალკოჰოლიკზე, ან, სულაც, მშიერ ადამიანზე, მაგრამ ამის გამო ისინი დამნაშავეებად არავის გამოუცხადებია. ცნება — „პოტენციური დამნაშავე" — საკმაოდ გაუგებარია და ამგვარი ბრალდებით ვინმეს დასჯა, არა მგონია, სამართლიანი იყოს.

დასავლეთის ქვეყნებში, ბოლო წლებში, მკვეთრად შემცირდა ნარკომანთა რაოდენობა. გერმანიაში ახალგაზრდობის უმრავლესობას არ აინტერესებს ნარკოტიკები. ისინი ბევრად უფრო კრიტიკულად არიან ნარკოტიკების მიმართ განწყობილი, ვიდრე 10-15 წლის წინათ. მოზარდთა 50 პროცენტი სიგარეტის კატეგორიული მოწინააღმდეგეა. ყოველწლიურად მცირდება ნარკოტიკისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებით გარდაცვლილთა რიცხვი. ნარკოტიკების გამოყენებისგან ყოველწლიურად 2000 კაცი კვდება, ალკოჰოლისგან — 40000.

დასავლეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ ნარკომანიასთან ბრძოლა შესაძლებელია, ოღონდ ზუსტად უნდა განისაზღვროს ბრძოლის მეთოდები. ახალგაზრდა ნარკომანების განკურნების ალბათობა საკმაოდ მაღალია, მაგრამ, სანამ ნარკომანი დამნაშავედ ითვლება, მანამ არა მხოლოდ მკურნალობა, მათი აღრიცხვაც კი შეუძლებელი ხდება. ისინი თვითონაც ემალებიან კანონს და მათი ახლობლებიც ხელს უწყობენ ამაში.

ნარკომანთა დამნაშავედ გამოცხადებას კიდევ ერთი უარყოფითი ასპექტი აქვს — იგი ხშირად ხდება პოლიციის მხრიდან მრავალი უკანონობის და გამოძალვის საბაბი. პოლიციელთა მიერ ნაცემხარების („პოკოლების") ძებნა და ნარკოტიკის „ჩუკის" ჩადება ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევა და შედეგად მრავალი სამართალდარღვევა მოსდევს. თუ ნარკომანს აღარ ექნება დამნაშავის სტატუსი, ამით მათი აღრიცხვაც გაადვილდება, მკურნალობაც, სამართალდარღვევებსაც გამოეცლება საფუძველი და პოლიციაც უფრო მობილიზებულად წარმართავს თავის საქმიანობას ნარკობიზნესის წინააღმდეგ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ავადმყოფის დამნაშავედ გამოცხადება ანტიჰუმანურია და საქართველოსაც სამარცხვინოდ აყენებს ცივილიზებული კაცობრიობის თვალში.

## მხოლოდ ფაქტები

# მოწმის როლში — ვიდეოფირი

გუშინ ქობალიას, მოლოდინაშვილის, ძიძიგურისა და ბოკუჩავას სასამართლო პროცესზე სამი ზუგდიდელი მოწმე დაკითხეს: ზუგდიდის კომუნალური მეურნეობის დირექტორი დავით მეუნარგია და ორი მძღოლი — ჯემალ ლაგვილავა და შაქრო შელია. მძღოლების ჩვენება ეხებოდა იმას, თუ როგორ ჩამოიტანეს ფოთიდან ზუგდიდში თითო რეისი პურის ფქვილი, რომელიც ეროვნული გვარდიის შტაბში დააწყვეს. მეუნარგიამ კი თქვა, რომ ზუგდიდის გამგებლის წინადადებით, უნდა გაერემონტებინა სასტუმრო „ოდიში", მაგრამ ეს გარიგება არ შედგა. ეს იყო და ეს.

შემდეგ მოსამართლემ ვიდეოფირები ჩართო. პირველზე აღბეჭდილი იყო ზვიად ძიძიგურის გამოსვლა სამტრედიის ტელევიზიით, სადაც ძიძიგური ამბობს, რომ სამტრედიაში იმყოფება სამტრედიის ბატალიონთან ერთად. მოსამართლე დაინტერესდა, ბატალიონთან ერთად შევიდა ძიძიგური სამტრედიაში, თუ — არა. ძიძიგურის განმარტებით, იმ დღეს, როცა ბატალიონი სამტრედიაში დაბანაკდა, ისიც შევიდა ქალაქში, ოღონდ მოგვიანებით.

მეორე ვიდეოფირი ზუგდიდის 1993 წლის 23 ოქტომბრის მიტინგს ეხებოდა, სადაც ზვიად გამსახურდია გამოვიდა. მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა გამსახურდიას ერთ ფრაზაზე: „ჩვენ გვებრძვიან ხუნტის კრიმინალური ბანდები. არავითარი რუსები აქ არ არიან..." მოსამართლემ განმარტება სთხოვა ქობალიას, რომელსაც ჩვენებაში ნათქვამი ჰქონდა, რომ სამთავრობო ჯარებთან ერთად რუსის ჯარი გვებრძოდაო. ქობალიას განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტის ეს ფრაზა ხალხის დასამშვიდებლად არის ნათქვამი და სინამდვილეს არ შეეფერება.

მესამე ვიდეოფირზე აღბეჭდილი იყო უცნობი კაცის სატელეფონო საუბარი ვინმე აკაკისთან. შემდეგ საუბარში ჟიული შარტავა ჩაერია, რომელმაც კვლავ პირველს დაუბრუნა ყურმილი (ეს კადრი ადრე საქართველოს ტელევიზიამაც აჩვენა). სატელეფონო საუბარში ჟიული შარტავა მოსაუბრეს დახმარებას სთხოვდა. შარტავა საუბარს ასეთი ფრაზით ამთავრებს: „მე ჩემი გითხარით და ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, როგორ მოიქცევით".

მოსამართლის აზრით, შარტავა სენაკის ბატალიონის მეთაურს აკაკი ელიავას ესაუბრებოდა, სოხუმის დაცემის წინა დღეებში კი ანგარიშსწორების დრო აღარ იყო და ამიტომ შარტავას ამდენი შეგონება არ უნდა დასჭირვებოდა.

ქობალიას ადვოკატმა ფანქველაშვილმა მოსამართლეს შეახსენა, რომ აქ არ არის აკაკი ელიავას სასამართლო. ვიდეოფირიდან კი არ ჩანს, ვინ არის ის კაცი, ვინც ვიღაც აკაკის ელაპარაკება, რომლის გვარსაც არ ასახელებენ. ძიძიგურის განმარტებით კი, ეს კადრი გადაღებულია არა სოხუმის დაცემის წინ, არამედ, მარტში, და არც ის ჩანს, იმ აკაკიმ დახმარება გაგზავნა თუ არა.

სხდომის ბოლოს მოლოდინაშვილის ადვოკატმა მორჩილაძემ სთხოვა მოსამართლეს, საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებთან ერთად, რომლებსაც ალადაშვილმა პატიმრის ნახვის ნება დართო, ციხეში ქართველი ჟურნალისტებიც შეეშვა. ალადაშვილმა უარი განაცხადა.

ასევე უარით გაისტუმრა მოსამართლემ აჭარისა და სხალთის ეპისკოპოსი მეუფე იობი და მღვდელი მამა სტეფანე. ისინი სასამართლო დარბაზში პატიმრებთან შეხვედრას ითხოვდნენ, რათა კურთხევა მიეცათ მათთვის. „კანონი ყველასთვის ერთია" — განმარტა თავისი საქციელი მოსამართლე ალადაშვილმა.

**ზაზა ფაჩუაშვილი**

# ინფორმაცია ციხიდან

მერაბ კოსტავას ეზოში მე-14 დღეა საპროტესტო მჯდომარე აქცია მიმდინარეობს. აქციაზე ჰელსინკის კავშირის წევრებისგან შევიტყვეთ, რომ

ხვიჩა ჯოხაძე, რომელიც „ყვარლის საქმეში" გადიოდა. იგი 1993 წელს 15 წლით დააპატიმრეს, მაგრამ შერყეული ჯანმრთელობის გამო სასჯელი გაუნახევრეს. ჰელსინკის კავშირის ცნობით, ხვიჩა ჯოხაძე მანამდე არ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სანამ მის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრა. ამჟამად იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება და როგორც ექიმები ამბობენ, ქირურგიული ჩარევაც კი აღარაფერს უშველის. ტუბერკულოზით ავადმყოფობის ბოლო სტადია აქვს. ექიმების აზრით, შედეგს მხოლოდ ინტენსიური თერაპიული მკურნალობა გამოიღებს. ამის საშუალება კი ციხეში არ არის.

სანდრო კავსაძის გატაცების საქმეზე 14 წლით პატიმრობა მიუსაჯეს დავით კაჭარავას. როგორც ჰელსინკის კავშირის წევრებმა განაცხადეს, კაჭარავასაც ტუბერკულოზის მწვავე ფორმა აქვს. მიუხედავად ამისა, იგი ე.წ. „კრიტში" იხდის სასჯელს.

ჰელსინკის კავშირის წევრებმა სოსო ელენტის მდგომარეობაზეც გაამახვილეს ყურადღება. მას შემდეგ, რაც ელენტის საქმე ქობალიას, ბოკუჩავას, ძიძიგურსა და მოლოდინაშვილის საქმიდან გამოყვეს, პატიმარი გაურკვეველ მდგომარეობაშია. ამის გამო, მან რამდენიმე განცხადება გააკეთა, შიმშილობაც დაიწყო. ბოლოს თვითმკვლელობით დაიმუქრა და პასუხისმგებლობა უზენაეს სასამართლოს ხელმძღვანელობას დააკისრა. 1 აგვისტოს ამ მიზნით მან მედიკამენტების დიდი რაოდენობა მიიღო. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ეს შეუმჩნეველი არ დარჩა. ექიმებმა წვეთოვანი დაუდგეს და მთელი ღამის ბრძოლის შემდეგ, მდგომარეობიდან ძლივს გამოიყვანეს.

გუშინ ქობალიას, ძიძიგურისა და ბოკუჩავას სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ სოსო ელენტის მეუღლემ ციხის საავადმყოფოდან ცნობა მოიტანა იმის შესახებ, რომ ელენტმა მეორედ მოიწამლა თავი. ექიმებმა მას ამჯერადაც მიუსწრეს და მდგომარეობიდან გამოიყვანეს. ყველაფერთან ერთად საქმეს ისიც ართულებს, რომ მას დიაბეტი აქვს.

# მოწმეთა ჩვენებებში პირველი წინააღმდეგობა გაჩნდა

**4 აგვისტოს გამართული კიტოვანის სასამართლო ტრასების საგზაო პოლიციის მუშაკების ჩვენებებს დაეთმო. როგორც გაირკვა, 1995 წლის 13 იანვარს აგარის საგუშაგოზე მდგარ საგზაო პოლიციელებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ავტობუსების ნომრების ჩაწერა დაევალათ მხოლოდ. მათ საგუშაგოზე არც იარაღის ჩაბარებას და არც ავტობუსების გაჩერებას ადგილი არ ქონია.**

**ოხიაურის საგუშაგოზე პოლიციელებს გაუგიათ სროლის ხმა და შეუტყვიათ, რომ ორი „იკარუსი" დაცხრილეს. ერთ-ერთი მათგანი, ზაზა გორელაშვილი თვითონ წასულა შემთხვევის ადგილზე და დაცხრილული ავტობუსები უნახავს. 5 დაჭრილი მგზავრი მის მისვლამდე წაეყვანათ საავადმყოფოში. მგზავრებს შორის შეიარაღებული არავინ ყოფილა. თენგიზ კიტოვანის შეკითხვაზე, სად ქონდა ავტობუსებს ტყვიები მოხვედრილიო, მან უპასუხა, რომ ფანჯრებში. „ესე იგი, ხალხი სასიკვდილოდ იყო გამეტებული"-შენიშნა კიტოვანმა.**

**გორის საგუშაგოზე ავტოკოლონა შეუჩერებიათ, მაგრამ მათ ისევ გაუგრძელებიათ გზა. პოლიციას შეიარაღებულებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.**

**სასამართლო პროცესზე განსახჯელი ვალერი ფესიაური იმდენ შეკითხვებს უსვამდა მოწმეებს, რომ მოსამართლემ ირონიულად შენიშნა: მისგან კარგი პროკურორი დადგებოდაო. სწორედ ფეს... მოითხოვა მოსამართლე იოსებ ხურ... სგან მოწმეების, მიქაბერიძისა და მე... შვილის დაპირისპირება, რადგანაც ... ბერიძემ წინა სასამართლოზე განა... რომ ავტოკოლონა იარაღის გამოყ... თა და მუქარით დაიძრა ნატახტრის ... შაგოდან, მერაბიშვილი კი ამ ფაქტ... უარყოფს. განსასჯელის შუამდგომლობ... კმაყოფილეს — მოწმეთა დაპირისპ... უახლოეს პროცესზე მოხდება.**

**რაც შეეხება გუშინდელ და ... წინდელ სხდომებს, იგი მოწმეების ... უცხადებლობის გამო გადაიდო და ... 12 საათისთვის განახლდება.**

სოსო ბარნაბიშვი...

## ნუგზარ მოლოდინაშვილი:

# «ერთი კვირა კიდევ გავძლებ»

მერაბ კოსტავას ეზოში მჯდომარე აქციის ორგანიზატორებმა ნუგზარ მოლოდინაშვილის წერილი მიიღეს, სადაც ნათქვამია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების მიუხედავად იგი არ შეწყვეტს შიმშილობას: „ერთი კვირა კიდევ გავძლებ", — წერს იგი. როგორც წერილიდან ირკვევა, მოლოდინაშვილს გულის არითმია, ჩხვლეტები და თავბრუსხვევები დაეწყო. წერილის ადრესატებს მიაჩნიათ, რომ წერილში მოყვანილი სიმპტომები ზღვაში წვეთია მოლოდინაშვილის ჯანმრთელობის ნამდვილ მდგომარეობასთან შედარებით.

სამშაბათს მოსამართლე ალადაშვილმა საერთაშორისო ორგანიზაციის — „ეუთოს" ... წევრს დარია ფეინს და იოქ... შტულერს მოლოდინაშვილის ნახვის ნება დართო. მოლოდინაშვილის ადვოკატის განცხადებით, რადგან შეხვედრას ქართველი ჟურნალისტები არ დაესწრნენ, პატიმარს შიმშილი არ შეუწყვეტია. მოლოდინაშვილი უკვე 29 დღეა, შიმშილობს.

# განაჩენი გამოტანილია

**გუშინ მთაწმინდის რაიონის სახალხო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა განსასჯელ ალექსანდრე ბოჭორიშვილს — სახელმწიფო მეთაურის ყოფილ მთავარ სახელმწიფო მრჩეველს, პროფესიით იურისტს, ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის № 238, 186 და 252 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში (ცეცხლსასროლი იარაღის, მათ შორის ავტომატურის, ფეთქებად ნივთიერებათა და საბრძოლო მასალების უკანონო შენახვა, ტარება, შეძენა, გასაღება, ხელისუფლების და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ნარკოტიკულ საშუალებათა და სხვა ძლიერმოქმედი და მხამნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გასაღება).**

**სასამართლომ ა.ბოჭორიშვილი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ სცნო და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის შრომა-გასწორების მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდითა და ქონების კონფისკაციით.**

იფრი...

# საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა

საკონსტიტუციო სასამართლოს უპირველესი მოვალეობა, როგორც ბატონმა დემეტრაშვილმა აღნიშნა, კონსტიტუციური კანონიერების, კონსტიტუციურობის უზენაესობის უზრუნველყოფა და ადამიანის კონსტიტუციური უფლება-თავისუფლების განუხრელი დაცვა უნდა იყოს. საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არავითარ გადასინჯვას, გაპროტესტებას, გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისგან, რომელშიც შედის სასამართლოს ცხრავე წევრი, პლენუმის მუშაობას თვითონ თავმჯდომარე უძღვება, და კოლეგიებისგან, რომელშიც ოთხ-ოთხი წევრია გაერთიანებული და მათ მუშაობას თავმჯდომარის მოადგილე წარმართავს.

პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საკუთარი ინიციატივით სასამართლო არც ერთ დავას არ განიხილავს და არც ერთ დასკვნას არ ამზადებს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მიმართოს საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტის წევრთა მეხუთედმა, სახალხო დამცველმა, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა და ნებისმიერმა მოქალაქემ, ამისთვის ისინი იხდიან სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულ არცთუ ძვირ ბაჟს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მორალური პასუხისმგებლობა დიდია, კანონი არ ითვალისწინებს და არც უნდა ითვალისწინებდეს მათ იურიდიულ პასუხისმგებლობას, თუმცა, შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ვადამდე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება, მაგრამ არა იმპიჩმენტის წესით. არ არსებობს ორგანო, რომელსაც შეუძლია პასუხისგებაში მისცეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. მისი დაკავება ან ჩხრეკა უნდა მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობით.

საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი გარკვეულწილად უზრუნველყოფს სასამართლოს კეთილსინდისიერ საქმიანობას. საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს პარლამენტი ირჩევს, სამ წევრს პრეზიდენტი ნიშნავს და სამს უზენაესი სასამართლო.

ბესიკ კურტანიძე

# საკონსტიტუციო სასამართლო «დასაქმდა»

**ერთ-ერთი პირველი სარჩელი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა, წარადგინა პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებამ „ზვიადის გზა — ხმა ერისა". ეს განაპირობა რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მინდია უგრეხელიძის უარმა, „სამართლებრივად შეეფასებინა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები და პასუხისმგებლობაში მიეცა ზვიად გამსახურდიას კანონიერი რეჟიმის დამხობის ხელმძღვანელები". თავისი უარი მინდია უგრეხელიძემ იმით ახსნა, რომ „მსგავსი საქმეების განხილვა არ შედის უმაღლესი სასამართლოს კომპეტენციაში".**

**საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ სარჩელში ნათქვამია, რომ „ასეთი პასუხით უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით მოქალაქის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შესახებ".**

Кавказ-Пресс

# ქართველი ნეირობიოლოგები სწავლობენ ნარკომანიის პრობლემას



„ნარკომანია რთული პრობლემაა, რომელსაც მრავალი ასპექტი გააჩნია — სოციალური, სამედიცინო, ნეირობიოლოგიური და სხვა. უპირველეს ყოვლისა, ...ნის დაავადებაა, დანარჩენი ყველაფერი მეორადია", — ამბობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **თენგიზ ონიანი**. მისი ხელმძღვანელობით ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ძილღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიაში სწავლობენ ნარკოტიკების ზემოქმედების შედეგებსა და ნარკომანიის მკურნალობის გზებს.

როგორც ბატონმა თენგიზ ონიანმა განაცხადა, თავის ტვინში გამოიყოფა ენდორფინები ანუ შინაგანი ...ინები, რომლებიც აუცილებელია თავის ტვინის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ტვინში გამოყოფილ ყოველ ნივთიერებას თავისი სამიზნე აქვს. ენდორფინები ოპიატური რეცეპტორების გზით იწვევენ ...ული ნეირონების გააქტიურებას. ამ გააქტიურების შედეგია ჰალუცინაციების წარმოშობა, რომლის კლასიკური მაგალითია სიზმარი, ...სიზმარეული ძილის ...ზმები შემოიჭრება ...ლის ყონზე, ეს უკვე პათოლოგიაა. გარედან შეყვანილი მორფინი და მსგავსი ნივთიერებები იწვევს ახალი ...ური რეცეპტორების გაჩენას, რომლებიც ითხოვენ დაკმაყოფილებას და ეს ადამიანს ისევე აწუხებს, როგორც შიმშილი, წყურვილი, სექსუალური მოთხოვნილება და სხვა.

მოთხოვნილების გაჩენის გარდა, მორფინებს ანალგეტიკური — ტკივილგამაყუჩებელი თვისებაც აქვთ. შეჩვეული ორგანიზმი გამაყუჩებლის გარეშე განსაკუთრებით ძლიერად განიცდის ტკივილს — იწყება ეგრეთწოდებული „ლომკა".

ნარკომანიის მკურნალობის ეფექტური მეთოდი, ჯერჯერობით, არ ჩანს. მკურნალობის მიზანია შემცირდეს მოთხოვნილება და მოიხსნას ტკივილები, რის შედეგადაც



უნდა მოხდეს პაციენტის რესოციალიზაცია. ნეირობიოლოგებს დასახული აქვთ ამოცანა — ან ქიმიური სინთეზის, ან მცენარეული საშუალებით გამოიყოს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც „დახურავს" ზედმეტ რეცეპტორებს, რათა ადამიანი დაბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობაში და მას არ ჰქონდეს ზედმეტი მოთხოვნილება. „ეს იქნება ამ ბრძოლაში ყველაზე დიდი გამარჯვება", — მიაჩნია ბატონ თენგიზ ონიანს.

ოპიატურ რეცეპტორებს აქვთ ქიმიური სტრუქტურა, რომელშიც ნარკოტიკები ადვილად ჯდება და ააქტიურებს მათ მუშაობას. უნდა მოინახოს ისეთი ნივთიერებები, რომლებსაც აქვთ ნარკოტიკის მსგავსი სტრუქტურა და ჩაჯდება ამ რეცეპტორებში, მაგრამ მათ მუშაობას არ გააქტიურებს. რეცეპტორების ხანგრძლივი უმოქმედობა გამოიწვევს მათ უკუგანვითარებას და ნერვული სისტემის განკურნებას. თანაც, იმ ნივთიერებების მიმართ, რომლებიც შეკავებას იწვევენ, მოთხოვნილება არ ჩნდება.

დღეს საქართველოში ნარკომანებს ორი სხვადასხვა პრეპარატით მკურნალობენ — მეტადოლით და ტრამალით. ნეირობიოლოგიურ ლაბორატორიაში ვირთაგვებზე და კატებზე ცდიან ორივე ამ პრეპარატს. კვლევა, ჯერჯერობით, ბოლომდე არ არის მიყვანილი, თუმცა, შედეგები საინტერესოა. ტრამალი, უკვე მიღებული მონაცემების მიხედვით, უფრო ანალგეტიკია, ვიდრე ნარკოტიკი და მას, შეიძლება, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს „ლომკის" მოსახსნელად.

ვირთაგვებს უკეთებენ ფსიქოტროპულ ნივთიერებას — ციკლადოლს. აღმოჩნდა, რომ მისი გამოყენება ნებისმიერი დოზით იწვევს დას-



წავლის პროცესის დაქვეითებას და მეხსიერების მოშლას, ირღვევა მოტორიკა — მოძრაობითი აქტივობა. მაშინ, როცა ალკოჰოლის მცირე დოზა (სხეულის მასის ყოველ კილოგრამზე 1 გრამი), პირიქით, ხელს უწყობს დამახსოვრებას. ვირთაგვები, რომლებსაც დენით აღიზიანებენ, მალე სწავლობენ, თუ როგორ გათიშონ დენი, ნარკოტიკგაკეთებული ვირთაგვები კი არათუ ვერ სწავლობენ დენის გათიშვას, არამედ იმ ვირთაგვებსაც ავიწყდებათ დენის გათიშვა, ვისაც ეს უკვე ნასწავლი ჰქონდათ.

სირთულეების მიუხედავად, ლაბორატორიაში მუშაობა მთელი ძალით მიდის. ამის საშუალება სწავლულ მედიკოსებს მეცნიერებათა აკადემიის გრანტმა მისცა. უშუქობის გამო სრულფასოვანი მუშაობა მხოლოდ მაისის შემდეგ გახდა შესაძლებელი, მაგრამ იმედი აქვთ, რომ წლის ბოლომდე სერიოზული შედეგები იქნება მიღწეული. როგორც ბატონი თენგიზ ონიანი ამბობს, თუკი ქიმიურ კვლევაში დასავლეთში ბევრად წინ არიან წასულნი, ნეირობიოლოგიურ მოდელებში ჩვენ გვაქვს უპირატესობა. ნარკომანია სერიოზული პრობლემაა და მისი მრავალმხრივი, მეცნიერული შესწავლის გარეშე მასთან ბრძოლა ძალიან გაძნელდება.

სოზარ სუბელიანი

ჟურნალისტის სვეტი



ირინე დეკანოიძე

# ლუციფერის ღიმილი

**„მე ვარ ის ესპანელი, რომელიც ყოველ დილით პირველი უახლოვდება მზეს!.."**

**სალვადორ დალი**

„...დათა თუთაშხია, დააბრუნე ცხენები, თორემ... თორემ... გესვრით.

— თქვენ დუროს რომ ესვრით ის კაცები ხართ, მე რომ მესროლოთ, ის კაცები არა ხართ"...

ნაწყვეტი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან საკუთარი სუბიექტური შეხედულების გამოთქმასთან დაკავშირებით გავიხსენე: არ გეჩვენებათ, რომ საქართველოში ჩვეულებრივზე, ან იქნებ დასაშვებზე ბევრია „პატარა კაცის" ფსიქოლოგიიის ადამიანი? ისეთები, „დუროს რომ ესვრიან", წიხლს გაჭირვებულ თანამოძმეს რომ დააჭერენ, „დათა თუთაშხიას გამოჩენისას" კი შიშისგან ისველებენ.

* * *

დრო რომ აირევა, ძაღლი და ღორი გზა-შარაზე გამოდის — ნაარმევის მოსაალაფავად, ქვენა გრძნობების, აღვირახსნილი ვნებების დასაოკებლად. ჩემი დრო მოვიდაო, — იყნოსავს, — მივდგები, მოვდგები, ხალხში გავერევი, იქნება, რამეს გამოვრჩეო... შუბლით გაიკვლევს გზას ცხოვრებისეული ინტრიგის ლაბირინთში, მარჯვედ მოისვრის ანკესს მღვრიე წყალში, კოჭლი გოჭივით სათავეში მოექცევა, სხვებისთვის თავისი „უპირატესობის", „კაი ბიჭობის" დემონსტრირების საშუალება მიეცემა და რაღა გინდა, სულო ცოდვილო... ერთბაშად იქცევა ცხოვრებით კმაყოფილ კაცად.

## სად შეიძლება ასეთების ნახვა?

ასეთი „ნაკაცარები" ან, იქნებ, არც კი ოდესმე კაცები, თავად შეგვავლებენ ხოლმე მზერას უცხოური მანქანების ფაქიზად ჩამუქებული ფანჯრის მინებს იქიდან; მათი ნახვა ტელეეკრანზე შეიძლება, კაბინეტებში, ელიტარულ სადილებსა და ვახშმებზე, რომელთა პომპეზურობა უფრო ძველი რუსი ბოიარების მოქმედებასთან ასოცირდება — ისინი სასახლეებს საგანგებოდ აშენებდნენ შემაღლებულ ადგილებზე, „გლახაკთა" თვალის დასაბრმავებლად, „ღვთიური წარმოშობის" ხაზგასასმელად.

ასეთების ცხოვრებისეული კარიერის დასასრულის ამოსაცნობი გასაღები, უკეთეს შემთხვევაში, ერთ გონიერ ანდაზაში დევს: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი". მაგრამ სად არის ეს უკეთესი შემთხვევა...

...ცხოვრებით გამძღარი კაცი ბედნიერი ვერ იქნება — ამქვეყნად სათქმელი არაფერი აქვს, იმ ქვეყნად კი დღისით კუპრში წვა ელოდება, ღამით — ლოცვები... ვერასოდეს იქნება ამაყი, მისი სიამაყე ქედმაღლობასა და კუდაბზიკობას ვერ გასცდება, მისი გაზულუქებული სხეული სიამაყის სიმსუბუქეს ვერ გაუძლებს... პირველთაგანი ესპანელის მსგავსად ვერასოდეს წარმოიდგენს თავს იმ კაცად, რომელიც პირველი მიუახლოვდა მზეს...

და ამიტომაც: „...დუროს რომ ესვრით ის კაცები ხართ, დათა თუთაშხიას რომ ესროლოთ, ის კაცები არა ხართ, თქვე წუპაკო მამაძაღლები, თქვენ..."

* * *

ტლანქ სხეულში მოქცეული სულის ამბოხი გაცილებით უფრო მძაფრია — გამოსავალს აუცილებლად იპოვნის...

ერთხელაც, ეს პატარა „დიდკაცები" სარკის წინ დადგებიან, ზიზღით შეხედავენ თავიანთ პატივცემულ ლიპს, შიშით მოისვამენ ხელს ქონგადაველილ შუბლზე, რომელზეც სინდისის ძარღვი აღარც კი ახსოვთ, როდის გაწყდა... ჩასისხლიანებული თვალებით აათვალიერ-ჩაათვალიერებენ ფორმადაკარგულ ჰაბიტუსს და სარკიდან სატანა გაიღიმებს...

დიდი ბრიტანეთი

## დასაჯეს... სახელმწიფო ფოსტა



ბრიტანეთის სამეფო ფოსტამ ქვეყანაში მონოპოლია დაკარგა. ამიერიდან, როგორც მთავრობამ დაადგინა, კერძო კომპანიებს უფლება აქვთ, კონკურენცია გაუწიონ სახელმწიფო ფოსტას საფოსტო გზავნილების მიწოდებაში. დადგენილება გუშინ დილიდან შევიდა ძალაში. ასეთ გადაწყვეტილებას კი საფუძვლად ფოსტის მუშაკების რიგით მეხუთე გაფიცვა დაედო.

მონოპოლია სამეფო ფოსტას, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი თვით ჩამოართვეს, თუმცა, გაფიცვების გაგრძელების შემთხვევაში, რაც გამორიცხული სულაც არ არის, „სასჯელი" კიდევ სამი თვით გაიზრდება.

გერმანია

## უფრთხიან დაავადებულ ხორცს



უკვე რამდენიმე თვეა, რაც ევროპა შეშფოთებული ადევნებს თვალს ბრიტანული დაავადებული ძროხის ხორცის საკითხის მოგვარებას. მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა მისი ექსპორტის აკრძალვის მოხსნის ირგვლივ.

ღელავენ გერმანიაშიც. ორშაბათს ბონში შედგა გერმანელ ფერმერთა შეკრება. შეხვედრას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული ოფიციალური პირებიც ესწრებოდნენ. განიხილეს დაავადების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობის საკითხი და იმსჯელეს სახელმწიფოში შემოტანილი ძროხის ხორცისა და სხვა პროდუქტების საიმედოობაზე. გერმანიამ მოსთხოვა ევროკავშირს, მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია საქონლის ხორცის უსაფრთხოების გარანტიაზე.

გერმანიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ ბრიტანეთში მდგომარეობა უკვე სტაბილურია და დაავადებული ხორცი თითქმის მთლიანადაა ლიკვიდირებული.

იტალია

## ეროვნული სირცხვილის ტოლფასი განაჩენი

იტალიაში ორშაბათს გაიმართა მეორე მსოფლიო ომის დროს უდანაშაულოდ დაღუპულ მშვიდობიან მოქალაქეთა ხსოვნის პატივსაცემი დემონსტრაცია. იგი ყოფილი ესესელი კაპიტნის ერიხ კრიპკეს სასამართლო პროცესის დამთავრებისთანავე შედგა. როგორც ვიუწყებოდით, კრიპკეს ბრალად ედებოდა მასობრივი მკვლელობების ხელმძღვანელობა 1944 წელს, რის შედეგადაც დაიღუპა ასობით იტალიელი მოქალაქე.

საქმე ისაა, რომ კრიპკეს დანაშაული დადასტურდა, მაგრამ იგი სასჯელისგან გაათავისუფლეს, ვინაიდან დანაშაულის ჩადენიდან ძალიან დიდი დრო გასული. ამან აღაშფოთა დაღუპულთა ნათესავები და ახლობლები.



როგორც რომის მერმა განაცხადა, ეს ფაქტი ეროვნული სირცხვილის ტოლფასია, რასაც მთელი მსოფლიო უყურებს. მისი თქმით, სამართლის აღსრულება არასოდესაა გვიან და ესესელმა კაპიტანმა პასუხი უნდა აგოს ჩადენილ დანაშაულზე.

იტალიის პრემიერმინისტრმა რომანო პროდიმ კი დასძინა, რომ კრიპკემ საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს ყველა ის ტკივილი, რომელიც მან იტალიელ ხალხს მიაყენა.

ბელგია

## ემიგრანტები სამხედროებმა „გადაიბარეს"

ბელგიის ყოველდღიური გაზეთი „LE SOIR" იუწყება, რომ ბელგიაში მიმდინარეობს სამხედრო კანონებში რიგი ცვლილებების შეტანა. კერძოდ, ამიერიდან სამხედრო ძალებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქვეყანაში უკანონო ემიგრაციის აღკვეთაზე, რაც ასე გახშირდა ბოლო ხანებში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა, რომ აუცილებელია ემიგრირებული პირების შესახებ ინფორმირების სისტემის გაძლიერება, რათა სამართალდამცავ და თავდაცვის სამსახურებს გაუადვილდეთ საქმიანობა და დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

ბოსნია

## გახლეჩილი მოსტარი დიდი საფრთხეა ბოსნიისთვის

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მდებარე ორადგაყოფილ ქალაქ მოსტარში ვითარება კვლავ დაძაბულია. ორშაბათს, დღის სამი საათისთვის ამოიწურა ხორვატთა მიმართ წაყენებული ულტიმატუმის — შეწყვიტონ არჩევნების საწინააღმდეგო ბოიკოტი — ვადა. თუმცა, შედეგი არასახარბიელოა: ბოსნიელი ხორვატები კვლავ უარს ამბობენ, დათმონ პოზიციები, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ მოსტარში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების შედეგები რეალობას არ შეეფერება, რადგან ადგილი ჰქონდა ბიულეტენთა გაყალბების ფაქტებს. მაგრამ ნამდვილი მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ ხორვატებს არ სურთ მოსტარის გაერთიანება. მათ ხელს აძლევთ ამჟამინდელი დაძაბული ვითარება და იღვწიან იმისთვის, რომ ერთმმართველობას მიაღწიონ.

ევროკავშირი უკვე ორი წელია შეუპოვრად იბრძვის მოსტარის გაერთიანებისთვის და ამ ბრძოლის შედეგი მართალია, ჯერ არ ჩანს, მაგრამ ორგანიზაციის წარმომადგენლები მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და აცხადებენ, რომ გაყოფილ მხარეთა შერიგებამდე ბევრი დრო აღარ დარჩა.

ამავე დროს, რეალური სურათი სულ სხვაზე მეტყველებს: გუშინ ხორვატებსა და მუსლიმებს შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა კვლავ არანაირი შედეგი არ გამოიღო. მდგომარეობა იმდენად დაძაბულია, რომ ნატოს სამშვიდობო ძალებმა საკონტროლო პუნქტებზე მეთვალყურეობა გააძლიერეს და გაზარდეს პატრულთა რიცხვი. ბოსნიის პრემიერმინისტრი ჰასან მურატოვიჩი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, რათა წაეყენებინა მოთხოვნა მოსტარიდან ევროკავშირის ადმინისტრაციის გაყვანის თაობაზე.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ბოსნიელმა ხორვატებმა არ აღიარეს მოსტარის მუნიციპალური არჩევნების შედეგები. ამ ქალაქის მუსლიმანებისა და ხორვატების თემებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გამო, შეიძლება საჭირო გახდეს ევროკავშირის მისიის წევრთა სასწრაფო ევაკუაცია.

ბოსნიის ორადგაყოფილი ქალაქის პოლიტიკური კონტროლისთვის ბრძოლა გრძელდება, რაც დიდ საფრთხეს უქმნის სამშვიდობო პროცესს ბოსნიაში.

აშშ

## მერვე ცდა



ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკელთა პარტიის ყრილობის წინ, რომელზეც საბოლოოდ უნდა დამტკიცდეს ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატ-რესპუბლიკელების სახელები, ვიცე-პრეზიდენტის სავარაუდო კანდიდატურის გარშემო დიდი კულისებსმიღმა ბრძოლა გაჩაღდა.

გავლენიანი რესპუბლიკური წრეები, რომლებიც ყოფილი სენატორის — რობერტ დოულის პრეზიდენტობაზე გაცხადებულ პრეტენზიებს უჭერენ მხარს, ამჟამად, ყურადღებით ეცნობიან ფლორიდელი სენატორის კონი მეკის დოსიეს. მრავალი პარამეტრით, კონი მეკი, ალბათ, მოსაწონი იქნება დოულისთვისაც და რესპუბლიკელების მომხრე ამომრჩევლებისთვისაც. როგორც ამბობენ, დოულის რაზმისთვის ეს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობისთვის შესაფერისი პოლიტიკოსის პოვნის უკვე მერვე ცდაა.

## ტერორიზმთან ბრძოლა თუ წინასაარჩევნო კეკლუცობა?

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ ირანი და ლიბია საერთაშორისო ტერორისტებთან მჭიდრო კავშირში არიან და მოუწოდა ევროკავშირს, სავაჭრო ბლოკადა მოუწყოს ამ ორ ქვეყანას. კლინტონმა, კერძოდ, საჭიროდ მიიჩნია, რომ უნდა შეწყდეს უცხოურ კომპანიათა მიერ ირანისა და ლიბიის გაზისა და ნავთობის სფეროებში ინვესტიციების ჩადება.

ირანის წარმომადგენელმა გაეროში ქამალ ქარაზიმ უარყო პრეზიდენტ ბილ კლინტონის ბრალდებები ტერორიზმთან ირანის კავშირის შესახებ. მან რამდენიმე საათი ისაუბრა ამ საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მისი ქვეყანა კვლავაც გააგრძელებს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების, მიუხედავად კლინტონის მოწოდებისა უცხოურ ინვესტიციათა შეწყვეტის თაობაზე.

გაეროში ლიბიის ელჩმა მუჰამედ ეზვაიმ, აგრეთვე, უარყო შეერთებული შტატების ბრალდება და მას ცილისმწამებლური უწოდა.

მიუხედავად ასეთი უარყოფითი რეაქციისა, ორშაბათს, კლინტონმა ვაშინგტონში ხელი მოაწერა განკარგულებას შეერთებული შტატების მხრიდან ლიბიასა და ირანში ინვესტიციების შე[illegible] თაობაზე.

ევროკავშირისთვის, რომელიც ნავთობის 20 პროცენტს ირანისა და ლიბიისგან იღებს, კლინტონის პოზიცია მიუღებელი აღმოჩნდა.

ცოტა ხნის წინ პარიზში გამართულ დიდი შვიდეულის შეხვედრაზე, რომელიც ტერორიზმის თემას მიეძღვნა, აღინიშნა, რომ შეერთებული შტატების მოწოდება სანქციების დაწესების თაობაზე უმართებულოა.

საერთოდ, ევროპაში მიიჩნევენ, რომ კლინტონის თავგამოდებული ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ ის წინასაარჩევნო მანევრია, რომლითაც ამერიკის პრეზიდენტი „შინაურთა" კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს.

შეერთებული შტატების მიერ ირანისა და ლიბიის ტერორისტულ სახელმწიფოებად გამოცხადებამ და უცხოურ ინვესტიციათა შეწყვეტაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ დიდი აჟიოტაჟი და უკმაყოფილება გამოიწვია ევროკავშირის ქვეყნებში.

კუბის წინააღმდეგ მიღებული სანქციების შემდგომ, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც აშშ-სა და ევროპის აზრი ორად იყოფა და ევროკავშირი შეერთებული შტატებისგან სავაჭრო პოლიტიკის კურსის შეცვლას ითხოვს.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლამბერტო დინიმ განაცხადა, რომ „ახალი ამერიკული კანონი აშკარად დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს".

იტალიელ კოლეგას გამოეხმაურა გერმანელი პოლიტიკოსი კლაუს კინკელიც, რომელმაც აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების გადაწყვეტილება ყოვლად მიუღებელია და ირანი და ლიბია [illegible] იმსახურებენ ამგვარ დამოკიდებულებას.

მაგრამ აშშ პოზიციას [illegible] თმობს. იგი აცხადებს, რომ ევრო[illegible]პის დახმარების გარეშეც შეძლე[illegible] კანონის რეალიზაციას. ვაშინგტო[illegible]ნი დარწმუნებულია თავის მოსა[illegible]რებაში, რომ ტერორიზმი ხათ[illegible]ხაც და დახმარებასაც სწორედ [illegible] ორი ქვეყნიდან იღებს.

ახლო აღმოსავლეთი

## არაფატი ნეთანიაჰუს შემოსწყრა

პალესტინის პრეზიდენ[illegible] იასირ არაფატმა დაგმო ისრაე[illegible] პრემიერმინისტრ ბენიამინ ნეთ[illegible]აჰუს პოლიტიკა დასავლეთ სა[illegible]როს დასახლებებთან მიმართებ[illegible] მან განაცხადა, რომ ნეთანი[illegible] ქმედებები სამშვიდობო შეთან[illegible]ბის პირობებს არ შეესაბამება.

გუშინ არაფატი იორდ[illegible] მეფე ჰუსეინს შეხვდა, რათა კ[illegible] დასაწყისში ამ უკანასკნელსა [illegible]რაელის პრემიერმინისტრს შ[illegible] ჩატარებული მოლაპარაკების [illegible]დეგები განეხილა.

# გვალვამ და უვიცობამ მოსავალი დაღუპა

საუბარი შეეხო სოფლის მეურნეობაში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობას. ქვეყანაში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება მიმდინარეობს. კახეთის რეგიონში ეს პროცესი ძირითადად დასრულდა. შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში მარცვლეულს ახლა აბინავებენ.

მიმდინარე წელს თავთავიანი კულტურების მოსავალი აღებული იყო 1 84 ათას ჰექტარზე. წინასწარი მონაცემებით 45 ათას ტონა მარცვლის აღებას ვარაუდობდნენ, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური თუ მეტეოროლოგიური მიზეზების გამო 24 ათას ჰექტარზე მოსავალი დაიღუპა.

პირველი პროგნოზები არ გამართლდა. დღევანდელი მდგომარეობით ნავარაუდევი 200 ათასი ტონა მარცვლის მიღება.

სიმინდი დათესილი იყო 5 ათას ჰექტარზე. საშუალო მოსავლიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო დაახლოებით 500 ათასი ტონა მარცვლის მიღება, გვალვების გამო მოსავალი, ალბათ, 300 ათას ტონამდე შემცირდება. თუმცა, ეს ციფრიც სავარაუდოა, რადგან მიმდინარე წელს ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში დიდი რაოდენობით შემოტანილი თესლეული დაითესა, რომელიც ამერიკიდან შემოიტანეს. თესლეული არ იყო წინასწარ შესწავლილი, ცნობილი იყო, რამდენად მიესადაგებოდა იგი საქართველოს კლიმატურ პირობებს.

... ორშაბათს კოლეგიამ გადაწყვიტა, რომ რესპუბლიკაში არ დაითესოს შეუმოწმებელი და დაურაიონებელი ჯიშის თესლეული.

მზესუმზირა დათესილი იყო 53 ათას ჰექტარზე. მოსავალი 60-80 ათასი ტონა უნდა ყოფილიყო. ეს მაჩვენებელი ქვეყნის ზეთით უზრუნველყოფის საშუალებას იძლეოდა, მაგრამ კვლავ გვალვის შედეგად (მზესუმზირა ძირითადად კახეთის ზონაშია დათესილი) შეიძლება მხოლოდ 5 ათას ტონამდე მზესუმზირა მიიღოს ქვეყანამ. ამასთან, თუ უახლოეს ერთ კვირაში წვიმა არ მოვიდა, ეს მაჩვენებელიც საეჭვო გახდება.

მთლიანად სოფლის მეურნეობის სექტორში წელს ნაგულისხმევი იყო 945 ათასი ტონა მარცვლეულის აღება, მაგრამ სადღეისოდ მარცვლის მოსავალმა, შეიძლება მიაღწიოს 500 ათას ტონას (სიმინდის ჩათვლით).

ძალიან ცუდი მდგომარეობაა შექმნილი კახეთის ზონაში, განსაკუთრებით დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონებში.

საგარეჯოს რაიონში ასაღები იყო 6800 ჰექტარი. სადღეისოდ ამ ფართობიდან მიღებულია მხოლოდ 3950 ტონა, აქედან 2533 ტონა ხორბალი. საშუალო საჰექტარო მოსავალმა ერთ ჰექტარზე 5,9 ცენტნერი შეადგინა. აქედან ხორბალზე — 6 ცენტნერი (ერთ ჰექტარზე), ხოლო ქერზე — 5,6 ცენტნერი მოდის.

სიღნაღის რაიონში თავთავიანი კულტურები დათესილი იყო 13400 ჰექტარზე. მიღებულმა მოსავალმა 14600 ტონა შეადგინა. მათ შორის ხორბლის — 11300 ტონა.

დედოფლისწყარო-ში მარცვლეული 13500 ჰექტარზე იყო დათესილი. მიღებულია 13600 ტონა — 10 ცენტნერი საშუალოდ ჰექტარზე. ესეც ზარალია.

სიმონ უდუნაშვილი: „ვიყავი კახეთში და ვნახე ნათესი ფართობები, სადაც კომბაინი შედიოდა და ვერაფერს მკიდა". კახეთის რეგიონში ვფიქრობდით 130-140 ათასი ტონა მიგვეღო. მაგრამ, მივიღეთ სულ 72 ათასი ტონა. მათ შორის ხორბალი 62700 ტონა".

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ქართლში:

ქვემო ქართლში — ბოლნისის რაიონი აიღებს ჰექტარზე 21 ცენტნერ ხორბალს. საერთო ფონთან შედარებით ეს კარგი მოსავალია. დმანისის რაიონში ახლა დაიწყო მოსავლის აღება, ჯერჯერობით, ჰექტარზე 16 ცენტნერია, მარნეულის რაიონში ჰექტარზე 18 ცენტნერია. სულ ქვემო ქართლში 17 ცენტნერი ხორბალია ერთ ჰექტარზე მიღებული.

შედარებით კარგ მოსავალს იღებენ შიდა ქართლში. ხაშურის რაიონში საშუალო მოსავლიანობა 20 ცენტნერია, გორის რაიონში — 22, ქარელში — 19. სულ შიდა ქართლში — 20,7 ცენტნერია აღებული.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მთლიანად 10 000 ჰექტარია დათესილი. საშუალო მოსავლიანობა 12,5 ცენტნერია ერთ ჰექტარზე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაიწყო მოსავლის აღება. 23 700 ჰექტარია დათესილი. 5 ათასი ჰექტარია აღებული, საშუალოდ 14 ცენტნერია მიღებული.

მთლიანად ქვეყანაში მარცვლეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 14 ცენტნერია (ქერთან ერთად), აქედან ხორბალზე 14,1 ცენტნერი მოდის.

„საქართველოში ვერტიკალობის მიხედვით 11 ზონა და 2 ქვეზონაა. წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ზონები (მსოფლიო 12 ზონადაა გაყოფილი). ამიტომ საკითხისადმი მიდგომა სპეციფიკურია. ამერიკიდან — „მემამულეთა კავშირის" ხაზით, შემოვიდა ადამიანის საკვებად უვარგისი სიმინდის და ხორბლის თესლეული. მარცვლეული თითქმის ყველა რეგიონში დაითესა, გარდა დასავლეთ საქართველოსი. დარაიონების გარეშე მარცვლეულის ქვეყანაში შემოტანა და დათესვა დაუშვებელია, ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციებზე დაყრდნობის გარეშე არ შეიძლება, მწარმოებელმა (კერძო იქნება თუ სახელმწიფო ან ფერმერული სტრუქტურა), თესლეული შემოიტანოს. სახელმწიფო კომიტეტისადმი დაქვემდებარება აუცილებელია". — ბრძანა სიმონ უდუნაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, არსებული სიტუაცია პურის ფასის გაძვირებაზე არ იმოქმედებს. გამოიძებნება დამატებითი გზები, ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარების ამსახველ ინფორმაციას გაეცნენ საზღვარგარეთელი პარტნიორები და მათი მხრიდან დახმარება რეალურად შესაძლებელია.

ხათუნა რეხვიაშვილი

## ჭორი თუ სინამდვილე?

თბილისში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ავსტრიის სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს ცნობილი ქართველი მომღერლის ...ა ბურჭულაძის მეუღლე და შვილი. ამავე ინფორმაციით, მათ ...ვებას უკავშირებენ დ. სანიკიძის მკვლელობის საქმეს, რომელიც ...ვეული დროით ავსტრიაში ცხოვრობდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში „ინტერპოლი"-ს ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსმა გ. ალექსიძემ განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია ოფიციალურად ავსტრიიდან მას არ მიუღია, შეტყობინება ავსტრიული ...ის პრეროგატივაა, საქართველოდან შეკითხვის გაგზავნა კი, ასეთ შემთხვევაში, ავსტრიის შინაურ საქმეებში ჩარევას ნიშნავს. ხოლო, ...შეეხება ინფორმაციის არაოფიციალურ ვერსიას, თბილისში გავრცელებული ეს ხმები მისთვისაც ცნობილი აღმოჩნდა.

იფრინდა

## აფერისტები ტრასაზე

საქართველოს საავტომობილო გზებზე ახალი სახის გადასახადები ...ოლეს. საგზაო პოლიცია მძღოლებისგან ხუთ-ხუთ ლარს იღებს, რომელიც დაღუპულ პოლიციელთა ოჯახების დახმარების ფონდში ირიცხება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რესპუბლიკის საგზაო პოლიციის უფროსმა ლევან კენჭაძემ განაცხადა: „დაღუპულ პოლიციელთა ოჯახების დახმარების არანაირი ფონდი არ არსებობს. საგზაო პოლიციის სახელით მოქმედებენ აფერისტები და ფულის გამოძალვის ნებისმიერ შემთხვევაში გთხოვთ, შეატყობინოთ საგზაო პოლიციას".




BGI

## მინისტრი აფრთხილებს ხელქვეითებს...



შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ კატეგორიულად გააფრთხილა საგზაო პოლიციის სამსახურები, რათა საბოლოოდ აღიკვეთოს საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე გამოვლილი ავტომანქანების, განსაკუთრებით კი პროდუქტებით დატვირთული ავტოტრანსპორტის უმიზეზო გაჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ირღვევა მოძრაობის წესები.

წინააღმდეგ შემთხვევაში მინისტრის თქმით, დაისჯება არამარტო საგზაო პოლიციის რიგითი თანამშრომელი, არამედ მისი უშუალო ხელმძღვანელიც.

იფრინდა

## ჟურნალისტის სვეტი



გიორგი ასანიშვილი

# ეთნოკონფლიქტების „ფართობი"

დღეს ეთნიკურ წინააღმდეგობებს დანგრევის პირამდე მიყავს მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები. ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის მაგალითი. ისტორიულად, რუსეთის ერთიანობის გარანტად ყოველთვის მტკიცე, ავტორიტარული ცენტრალური ხელისუფლება გამოდიოდა. ამჟამად, როდესაც რუსეთის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მისი მიზანია ტოტალიტარული სისტემის ბოლომდე დამსხვრევა და ქვეყნის წაყვანა დემოკრატიული რეფორმების გზით, წინა პლანზე წამოიწია ფედერალურ საწყისებზე დაფუძნებული ამ უზარმაზარი ქვეყნის დანაწევრების შეჩერების საკითხმა. თათრეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კარგა ხანს უარს აცხადებდა ფედერალური შეთანხმების ხელმოწერაზე და მოსკოვთან ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ რეალურ ავტონომიას მიაღწია, ბაშკირეთმაც ფედერალურ ხელშეკრულებას მხოლოდ მას შემდეგ მოაწერა ხელი, რაც ცენტრისგან დამატებითი დათმობები მიმღო, მაგრამ ყველაზე მწარე ალიყური კრემლმა მაინც ჩეჩნეთისგან იგემა, რომელიც მას უკვე ხუთ წელზე მეტია ჯერ პოლიტიკური, შემდეგ კი სამხედრო მეთოდების გამოყენებით, როგორც სწორი სწორს, ისე ეპაექრება და შეიძლება ითქვას, რომ ჩეჩნეთი, ფაქტობრივად, გასულია რუსეთის ფედერაციის იურისდიქციიდან.

ანალოგიური პრობლემების წინაშე დგას მსოფლიოს სხვა გიგანტი სახელმწიფო — ინდოეთიც, რომლისთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადღეისო პრობლემას, რუსეთის მსგავსად, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება წარმოადგენს. ამ ქვეყნის ისეთი შტატები, როგორებიცაა პენჯაბი, ქაშმირი, ასამი და ჯამუ, არ მალავენ, რომ სურთ ინდოეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებლად არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ შტატებში სხვადასხვა დროს გამოცხადდა საპრეზიდენტო მმართველობა და შეყვანილ იქნა ინდოეთის რეგულარული არმიის ნაწილები, ამ ოპერაციას აღნიშნული „სეპარატისტული შტატებისა" და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთდაპირისპირებაში რაიმე კარდინალური ცვლილება არ მოუხდენია.

ეთნიკური პრობლემების გადაწყვეტა, ხშირად, ერთი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს სცილდება და მეზობელ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების საფუძველი ხდება. მაგალითად, იგივე ინდოეთის მთავრობას, ჯამუსა და ქაშმირის ხელისუფლებასთან დაპირისპირების გარდა, ამ შტატების გამო დაძაბული ურთიერთობა აქვს პაკისტანთან, რადგან ამ უკანასკნელს, არც თუ ისე შორეულ წარსულში, საკუთარი პრეტენზიები გააჩნდა აღნიშნულ ტერიტორიებზე.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტა მით უფრო იოლია, რაც უფრო ნაკლები ეთნიკური ერთეული ან სახელმწიფოა მასში ჩაბმული. ასეთ ვითარებაში დაპირისპირებულ მხარეთა შორის კომპრომისის გამონახვა და წინააღმდეგობების აღმოფხვრა შედარებით იოლია და ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდება კონფლიქტის ლოკალიზება და ხდება მისი არეალის თანდათანობითი გაფართოება, მასშტაბების ზრდა, მასში ახალ-ახალი მონაწილე მხარეების ჩართვა. ამ დროს კონფლიქტი უკვე რეგიონალურ ხასიათს ღებულობს (ახლო აღმოსავლეთი, ბალკანეთი, კავკასია და ა.შ.) და მისი გადაწყვეტა მშვიდობიანი გზებით ნაკლებად რეალური ხდება.

ეთნოკონფლიქტებზე საუბარი არასრული გამოგვივა, თუ მხოლოდ მისი მასშტაბების (ტერიტორიის სიდიდე, კონფლიქტის მონაწილეთა რაოდენობა) შესახებ ვიმსჯელებთ და არ გავითვალისწინებთ მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურს, სხვადასხვა სტადიას, სიმწვავის სხვადასხვა ხარისხს.

ეთნოკონფლიქტების ამ ასპექტებზე მომავალ კვირას ვიმსჯელოთ.



# სიტყვა-ყველას

51-ე ატესის აბონენტები მირითადად ბლოკზე მუშაობენ. ტელეფონი ხშირად თითქოს თავად ატესიდან და მერე თვეობით გამორთულია, არადა, როგორც ვიცით, მის ჩართვას არაფერი უნდა. სხვა საქმეა, როდესაც კაბელი ან სხვა სერიოზული რამ ზიანდება. თუ ბევრი იწვალე და, როგორღაც, ნაცნობობით ჩაგართეს ტელეფონი, ჩაჩი ისე ცუდად მუშაობს, რომ თითქმის ნახევარ ქალაქს ვერ დაუკავშირდები. მაგალითად, 51 ატესიდან რამდენიმე წელია ვაკისაკენ აღარ ირეკება. სამაგიეროდ, თუ ერთი კვირით დაგვაგვიანდა გადასახადის გადახდა, ტელეფონის ჩაჩს გვართმევენ. ასეთ ცუდ მდგომარეობაში ჩვენთან კავშირგაბმულობა!

51-ე ატესის აბონენტები

## გვწყურია!

გლდანის მეხუთე მიკრორაიონის მეშვიდე კორპუსის მცხოვრებნი სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად უწყლობასაც ვუჩივით. თვეობით დგას ჩვენი ონკანი. რა ხანია, მესამე მიკრორაიონიდან ვეზიდებით წყალს. ხშირად ქრება შუქიც... ამიტომ, იძულებული ვართ, რომ ვაი-ვაგლახით მოტანილი წყალი ფეხით ავზიდოთ ზედა სართულებზე. ზამთარში ვფიქრობდით, იქნებ ზაფხულში მაინც გამოსწორდეს მდგომარეობა. ახლა კი ვხვდებით, რომ ჩვენი საშველი არც ზამთარში იქნება და არც ზაფხულში.

გლდანის მეხუთე მიკრორაიონის
მეშვიდე კორპუსის მცხოვრებნი

* * *

ქალაქში მომრავლდა უფორმო იარაღიანი კაცები. თუ არავის საწყენს არ ვეტყვით, უხერხული ხომ არ არის ასე სიარული? შეიარაღებული და თანაც უფორმო კაცი საზოგადოების თვალში საეჭვოდ აღიქმება და ათასგვარ ეჭვს ბადებს, მითუმეტეს. თუმცა დემოკრატიაა, მაგრამ იარაღიან კაცს ფორმა მაინც უნდა ეცვას, ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არის იგი.

ირმა თავაძე

* * *

იწერება კარგი წიგნები, ითარგმნება კარგი ლიტერატურა, მაგრამ ნამდვილი ლიტერატურის გამოცემის საქმე ძალიან გაჭირდა. თუ ღირსეული და ფასეული დღის სინათლეს ვერ იხილავს, მაშინ ეს თანდათანობით კულტურის კვდომას გამოიწვევს. დროულად სჭირდება საქმეს შველა, თორემ დაგვიანდება. ჩემი აზრით, ჩვენი დიდი გამომცემლობების მესვეურებმა ვერ გაითავისეს ახალი ცხოვრების კანონები და ფეხი ვერ აუწყეს ახალი დროის მოთხოვნებს. ამიტომ, ხომ არ სჯობია, გამომცემლობების ხელმძღვანელების შეცვლა? ამაზეც ფიქრია საჭირო.

გულნორა ბაბნიძე

* * *

გურამიშვილის გამზირზე 20 პურის მაღაზიაში პური დღის ორი საათის შემდეგ მოდის. ამიტომ, დილით ვერ ვყიდულობთ, საღამოს კი, სამსახურის შემდეგ, პურის შოვნა სანატრელად გვაქვს გამხდარი. იძულებული ვართ, ან კომერციული პური შევიძინოთ იქვე, მაღაზიაში, ან ქალაქში ვეძებოთ. აღნიშნული მაღაზიის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ეს მაღაზიის კი არა, ჩვენი, მომხმარებლების პრობლემაა.

პური თუ საღამოს 7 საათამდე მაინც არ მოაქვთ ჩვენს უბანს, შეიძლება, ეს მხოლოდ ჩემი ოჯახის პრობლემა იყოს?

ნარგიზა თალაკვაძე

* * *

სამსახურში გ. ცაბაძის ქუჩით მიხდება მიმოსვლა. ბავშვთა სამყაროდან სტადიონამდე ყოველდღე (დღეში ორჯერ) დაგროვილი, გახრწნილი ნაგვის სუნით შეზავებულ ჰაერს ვისუნთქავ და, ცხადია, ჩემთან ერთად, სხვა ათასობით ადამიანი.

პირადად მე, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ბაზარი ასეთ "მოფარებულ" ქუჩებსაც მოედოს. ეს ერთგვარად დროსაც გვიზოგავს და გვათავისუფლებს დეზერტირის ბაზრის მაღალი ფასებისგან და ათასგვარი ორომტრიალისგან.

ნუთუ არ შეიძლება ყოველ საღამოს ქუჩის დასუფთავების ორგანიზება, თუნდაც იმ პროდუქტების და სარეწველი საქონლის გამყიდველთა ხარჯზე, ვინც ქუჩას ანაგვიანებს და იმ "ნელსაცხებლით" შეზავებულ ჰაერს მთელი დღის განმავლობაში თვითონაც სუნთქავს?

გიული ბახტაძე

* * *

ამ ბოლო წლებში ტელევიზიაში ტექსტების სხაპა-სხუპით კითხვა დამკვიდრდა. თითქოს სხვა ენაზე ლაპარაკობენ, უჭირს მაყურებელს ტექსტის აღქმა. ტელემაყურებელი დიდ გასაჭირში ვარდება ნასხაპასხუპარი ტექსტის ნიმუშებითაც. საოცარია, რატომ არა აქვთ ამაზე პრეტენზია რეკლამის დამკვეთებს. ზოგ რეკლამას განსაკუთრებით მოჭარბებულად აზის დროის ეკონომიის ბეჭედი.

ამ ფონზე რა დახვეწილია რადიო. იქ არავის ეჩქარება, მალზე დინჯად ესაუბრებიან თავის პატივცემულ მსმენელს.

თამარ ბარბაქაძე

## სასიკვდილოდ განწირული მძღოლები

გაგარინის მოედნიდან სანაპიროზე რომ ჩადიხარ, ზუსტად ვეფხვის და მოყმის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს, თითქმის ერთ წელზე მეტია გათხრილია ტროტუარი, ყრია უზარმაზარი მილები. ორმო იმხელაა, რომ ავტობუსიც თავისუფლად ჩაეტევა შიგ და კიდევ ადგილიც დარჩება.

თქვენ წარმოიდგინეთ რა დღეში ვართ მძღოლები, ღამის უკუნეთში გაგარინის დაღმართზე რომ გვიხდება დაშვება.

მივმართავ საგზაო პოლიციას - ან დაკიდონ საჭირო საგზაო ნიშანი, ან მიმართონ შესაბამის სამსახურებს და გაარკვიონ რაშია საქმე. როდემდე უნდა იყოს გადათხრილი და უპატრონოდ მიტოვებული გზის ეს მონაკვეთი?

ამირან დოლაბერიძე

* * *

მეტროში რეკლამებს ხშირად ისე ხმამაღლა გადასცემენ, რომ მგზავრებმა აღარ ვიცით, სად დავიმალოთ. ნათქვამია; ქაჩალმა თავი ჯერ არ მოიფხანა და შემდეგ მოიგლიჯაო. ნუთუ არ შეიძლება, ცოტა ხმადაბლა გადასცენ რეკლამები, რომ მეტროთი მგზავრობა საბოლოოდ არ შეაძულონ ხალხს?

რევაზ ბამრეკელი

* * *

კომუნისტების დროს, როცა სიცხე 40 გრადუსზე მაღლა ავიდოდა, უქმე დღედ ცხადდებოდა. მაინტერესებს, დარჩა თუ არა ეს კანონი ძალაში? წელს სიცხემ რამდენჯერმე გადააჭარბა 40 გრადუსს, სამსახურში კი ჩვეულებრივად დავდივართ.

ლამარა კოლუაშვილი



# პროსტო...

## მრავალსერიანი პრე...

(ცხოვრებისეული)



# ...რ-პარპა

## ...დასასრულის გარეშე

პირველი სერია






**პირველი სერიის დასასრული!**

მეორე და მომდევნო სერიების შინაარსი იხილეთ პირველ სერიაში

# სიტყვა-ყველას

***

ვისაც ხშირად უწევს მეტროპოლიტენით სარგებლობა, შეამჩნევდა, რომ შემავალთა მგზავრობის ფულების მქონე მგზავრთა გასასვლელში მუდმივი გაწევ-გამოწევაა.

მგზავრთა უკმაყოფილების მიზეზებს, მორიგე ქალაქიტის სახელმწიფო ხაზინის "ბუღალტერიობას" და არის ერთი "გასაღები-არ გაღებეს".

საბოლოოდ, საღამოს საათებში, შესაძლებელია, ფული გადაიხადო სალაროში, ჟეტონი არ აიღო _ მოლარე ამას "ფულებს" გამოგვს და მორიგეც თავაზიანი ღიმილით გაგატარებთ ესკალატორისკენ.

საინტერესოა, თუ ისე უჭირს სახელმწიფო ხაზინას, რომ გაჭირვებულ პენსიონერებზე არ ვრცელდება მგზავრობის შეღავათები, რატომ უნდა ვუხადოთ ფული მეტროს მოლარეებს? სავარაუდოა, რომ ისინი "ხელფასს" ჟეტონების ურნაში აღარ ყრიან.

(ვ. ესუშიძე)

***

ორბელიანის მოედანზე, "საქანერგიის" გვერდით არსებულ გაჩერებაზე მუდმივი განუკითხაობაა. აქ ხელ დგანან სამარშრუტო ტაქსები, რომლებიც გვერდის ავლა ფეხით მოსიარულეს უჭირს. ამას ემატება ჩვეულებრივ მარშრუტებზე მოძრავი ავტობუსების მწკრივები და ადამიანს დასადგომი ადგილი აღარ რჩება. ვინ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი, პატრულის თუ არა საგზაო პოლიციამ, თავისი ადგილი მიუჩინოს სამარშრუტო ტაქსებს, რათა მოქალაქენი მგზავრი ავტოფარიის ხაშიროების წინაშე არ აღმოჩნდნენ?

ანზორ ინდილაძე

***

ზუდალოვის ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოსთან მიმავალი გზა (მოსტის ქუჩა და მისი მიმდებარე ტერიტორია), მუდმივად დანაგვიანებულია. აქედან კვირაობით არ გადის ნაგავი, რის მიზეზადაც რატომღაც ნაგვის მანქანების ტექნიკურ გაუმართაობას ასახელებენ (ალმართია).

როდის მოგვარდება ამ ქუჩების სანიტარული მდგომარეობა, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ნაგავზე სიარული?

გულიკო შარიქაძე

***

ავლაბარში, ყოფილი "ზკას" სტადიონთან დგას შუქნიშანი. იქვე გზის ნაპირას მდებარეობს აფთიაქი, რომლის აბრაც ჯვარის გამოსახულებით შუქნიშანთანაა გამოტანილი და წითლად ანათებს. მორიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შუქნიშანზე წითელი ანთებს, მაგრამ ამავე დროს შეიძლება მწვანეც ენთოს და მძღოლიც, რასაც, გამორიცხული არ არის, გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს.

ბადრი წულაძე

***

ვაზისუბნის ერთი მისასვლელი სამანქანო გზა უკვე რამდენიმე წელია მწყობრიდანაა გამოსული. ამას ისე თუ ისე შევეგუებოდით კიდევაც, რადგან მეორე გზით სარგებლობის საშუალება ჯერ კიდევ გვქონდა შემორჩენილი. ერთი კვირის წინ გზა, წყლის მილის დაზიანების გამო, გადათხარეს. მილი ცოტათი შეაკეთეს, მაგრამ ბოლომდე ვერა. წყალი ისევ მოედინება და ვინაიდან მოგეხსენებათ, "წყლის წვეთი კლდესაც გახვრეტსო", გზა დღითიდღე ფუჭდება.

თუ შესაბამისმა სამსახურებმა დროზე არ მიხედეს საქმეს, ვაზისუბანს მეორე მისასვლელიც აღარ ექნება.

ლალი ჯალაღონია

***

"... 10-თეთრიანი თითქმის მეტროს ჟეტონის ზომისაა და რადგანაც მეტროთი მგზავრობა 10 თეთრი ღირს, რატომ არ შეიძლება სალაროსთან შექმნილი რიგების გვერდის ავლით, ხურდა ფულით ვიმგზავროთ მეტროთი.

ომარ ბოცირიძე

***

ალბათ ყველა დამეთანხმება იმაში, რომ ახალგაზრდობას საქართველოში ყველაზე მეტად უჭირს. ახალგაზრდობისთვის დასაქმების პრობლემაზე არანაკლები სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის გარკვევაა. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს პოლიციის მხრიდან სრულიად უწყინარ მდგომარეობაში ახალგაზრდების ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა. უკვე ჩვეულებად გვაქცა პოლიციის დანახვაზე ჯიბეების გადმოტრიალებით აშკარა დემონსტრირება გავაკეთოთ იმისა, რომ ნარკოტიკები არ გვაქვს და ჯიბეში ნარკოტიკი არ გვიდევს. მაინტერესებს, აქვს უფლება პოლიციელს ქუჩაში წამდაუწუმ ჩვენი გაჩერებისა და ჩხრეკისა, თანაც არც თუ იშვიათად, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი "სამართალდამცველების" მიერ? როგორც მე ვიცი, მკაცრი საპასპორტო რეჟიმი ქალაქში აღარ მოქმედებს და რატომ ხდება, რომ პოლიცია ანგარიშს არ უწევს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, უპასპორტობას ხშირად დანაშაულად გვითვლიან და უმეტეს შემთხვევაში მეტროს პოლიციის განყოფილებაში გვიწევს ჩვენი უდანაშაულობის დამტკიცება ნათესავებთან სატელეფონო ზარების შემწეობით. ჩვენ გვყავს ქალაქში ახლობლები და ვამტკიცებთ ჩვენს უდანაშაულობას, მაგრამ როგორც ახლობლების გამოცდილებიდან ვიცი, ანალოგიურ ვითარებაში მოხვედრილ ჩამოსულ ახალგაზრდებს ფულის საშუალებით უწევთ პოლიციიდან თავდახსნა.

ბიჩი დიმიტრაშვილი

***

რკინიგზის ვაგზლის ტერიტორია საშინლად გამოიყურება. ათასგვარი ბარიკადებითა და "აკოპებისმაგვარი" თხრილებით გარშემორტყმულია საკოლმეურნეო ბაზარი, რომელამდეც მიღწევა კიდევ არაფერი, მაგრამ ბაზრიდან სხვადასხვა ტვირთით დამძიმებული ადამიანის სატრანსპორტო საშუალებამდე მიღწევა ნამდვილ ფაკირობად უნდა ჩაითვალოს. მე მაინტერესებს, რა მიზნით გადათხარეს აღნიშნული ტერიტორია, როცა არავითარი სარემონტო სამუშაოები არ მიმდინარეობს. თუკი ამ ხერხით ქუჩაში ბაზრობის აკრძალვა სურდათ, ფაქტია, რომ მიზანს არ გაამართლა, და სავარაუდოდ, ალბათ, დროა, ბოლო მოეღოს ხალხის გამძლეობაზე ექსპერიმენტების ჩატარებას.

მებირ კვიციანიძე

***

ჩვენი ტელევიზიისა და რადიოს დიქტორთა მოსმენა (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ნამდვილი ტანჯვაა. ალბათ, ელემენტარული შეცდომების კოლექცია! განსაკუთრებით საწყლად გამოიყურებიან რუსეთისა და ევროპის ტელეარხების დიქტორთა ფონზე. ხშირად არათუ საკუთარ კომენტარს, დაწერილის რიგიანად წაკითხვასაც კი ვერ ახერხებენ. ტელევიზიის ხელმძღვანელობას არაერთხელ უთქვამს, რომ რასაც ჩვენი ტელეჟურნალისტები მათ ხელთ არსებული მწირი ტექნიკური საშუალებებით აკეთებენ, ისიც გმირობაა. ბევრ ჟურნალისტს მართლაც ვერ დაუკარგავ თავგანწირვას (რამდენი მათგანის სიცოცხლე კიდა ბეწვზე აფხაზეთში!), მაგრამ ისიც აშკარაა, რომ რესპუბლიკის მთავარი საინფორმაციო პროგრამის წამყვანს გამართული მეტყველება უნდა შეეძლოს.

სანიტარი

# ეგვიპტური ჩანახატები

წერილი მეოთხე

## გოჩა ჯაფარიძე

არაბული ქვეყნებიდან ძველად საქართველოსთან ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური კავშირები, ალბათ, ეგვიპტეს ჰქონდა. ამ კავშირებს ვხედავთ გიორგი I — სა და ხალიფა ალ-ჰაქიმ ბი-ამრ-ალლაჰის (XI ს.), თამარისა და სალადინის (XII 80-იანი წლები) დროს, XIV-XVI სს-ის ქართველ მეფეებსა და ეგვიპტის მამლუქ სულთნებს, XVIII ს. II ნახევრის საქართველოსა და ქართული წარმოშობის მამლუქებს შორის. საბჭოურ ეპოქაში, როცა ეგვიპტის ძლიერი მხარდამჭერა ჰქონდა საბჭოთა კავშირისგან (70-იან წლებამდე), ამ ქვეყნის გრანდიოზულ მშენებლობებზე ბევრი ქართველი სპეციალისტი მუშაობდა. ეგვიპტის დამოუკიდებლობის მედროშე გამალ აბდელ ნასერი ნამყოფია საქართველოში და მკურნალობდა წყალტუბოში. დღეს ეგვიპტეში შეხვდებით ეგვიპტელთა მიერ იქ სამუშაოდ მიწვეულ ქართველ მუსიკოსთა და სპორტსმენთა ჯგუფს. თვენახევარში ერთხელ კაიროსა და ალექსანდრიის ქუჩებს ახმიანებენ ქართველი ტურისტები, არის დელეგაციების გაცვლა სხვადასხვა დონეზე, მაგრამ არ არის დიპლომატიური წარმომადგენლობები, ეგვიპტისა ჩვენთან და ჩვენი იქ, თუმცალა არაბული სამყაროს ამ წამყვან სახელმწიფოში ეს საშური საქმეა. რუსეთზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ მხრივ გაგვისწრეს უკრაინამ, ყაზახეთმა, უზბეკეთმა, აზერბაიჯანმა და სომხეთმა.

პირველად 1972 წ. მოვხვდი ეგვიპტეში, საერთაშორისო ბაზრობაზე, საქართველოს პავილიონში სამუშაოდ. იმ დროს ეგვიპტე ჯერ კიდევ მეგობრობდა საბჭოთა კავშირთან, შეურიგებლად ებრძოდა იმპერიალიზმს, საერთაშორისო სიონიზმს, კონკრეტულად კი ისრაელს, აშენებდა არაბული ყაიდის სოციალიზმს და ირჩემებდა არაბული სამყაროს ლიდერის როლს, რომელიც მნიშვნელოვნად შეილახა 1967 წ. ივნისში ისრაელთან წაგებული ომის შემდეგ. მაგრამ უკვე მაშინ პრეზიდენტი ანვარ სადათი ვეფხვის ნახტომისთვის ემზადებოდა. მან დაიხსნა რამდენიმე წლის შემდეგ ეგვიპტე საბჭოთა კავშირის „მეგობრული“ მარწუხებიდან, დაუზავდა ისრაელს, დაიბრუნა სინას ნახევარკუნძული, კურსი აიღო აშშ-სა და დასავლეთზე, გამოაცხადა ღია კარის პოლიტიკა, გზა გაუხსნა დასავლეთის ინვესტიციებს, მოახდინა ეკონომიკის ლიბერალიზაცია. სადათმა ქვეყანას მშვიდობა მოუტანა, მაგრამ ისრაელთან მორიგება არ აპატიეს. არაბულმა სახელმწიფოებმა ეგვიპტე მოიძულეს, ექსტრემისტებმა კი სადათი მოკლეს (1982 წ.) მის კურსს აგრძელებს ახლანდელი პრეზიდენტი ჰუსნი მუბარაქი. მან უყოყმანოდ დაუჭირა მხარი აშშ-ს სპარსეთის ყურის კრიზისის დროს (1990-1991 წწ), რისთვისაც მიიღო დიდი ფინანსური დახმარება სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისგან. ეგვიპტემ თანდათან დაიბრუნა არაბული სამყაროს ლიდერის როლი. კვლავ კაიროში დაიდო შტაბ-ბინა ტუნისში გახიზნულმა არაბული სახელმწიფოების ლიგამ, რომლის გენერალური მდივანიც გახდა ეგვიპტის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ისმათ აბდელ მაგიდი.

1972 წ. შემდეგ ეგვიპტის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს შორიდან ვისმენდი. ჩემი პრაქტიკული მოღვაწეობის გზები სხვა არაბულ ქვეყნებზე გადიოდა და ვერა და ვერ ვახერხებდი ხელახლა იქ ჩასვლას. ბოლოს, წელს, 13 მარტს სამეცნიერო მივლინებით გავფრინდი კაიროში. ხელახლა ვიხილე პირამიდები და სფინქსი, შევაბიჯე მუზეუმებში, სადაც საოცარი სიმდიდრეა დაუნჯებული; ვნახე სალადინის გრანდიოზული ციტადელი, სადაც 1811 წ. მარტში გაჟლიტეს მამლუქები; მოვინახულე სინას მთა და მოწიწებით შევეხე უძვირფასეს ქართულ ხელნაწერებს წმ. ეკატერინეს მონასტერში. კაიროში ახლადგამოცემულ ისტორიულ წყაროებში წავაწყდი ძვირფას ცნობებს საქართველოს წარსულის შესახებ. იყო სასიამოვნო მოულოდნელობაც. დომინიკანელ ბერთა მონასტრის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა მამა მერიგომ, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია მუშაობაში, გამაცნო ახალგაზრდა ეგვიპტელი ისტორიკოსი აბუ იაზიდი, რომელიც სამაგისტრო დისერტაციას წერს თემაზე „სტალნუკები და საქართველო“.

■ ვყიდი სასწრაფოდ ავეჯს — სამზარეულო „ნონა", რუმინული ვიდეო მაგნიტოფონი „პანასონიკი" — ჟ 50", ტელევიზორი „პანასონიკი" ეკრანი 72 სმ., ტელევიზორი „რადუგა 716" დეციმეტრული, ფერადი. ტელევიზორი „იუნოსტი" შავთეთრი მუშაობს 12 და 220 ვოლტზე. კონდიციონერი „БК-1500", სარეცხ მანქანას „ვოლნა", საბეჭდ მანქანას, ქართული შრიფტით, ფეხის საკერ მანქანას „ჩაიკა 2M". წყლის გამაცხელებელს ატმორს ისრაელის გამოშვება. ტელ.: 72-26-31.

■ ვყიდი იაპონური წარმოების მტვერსასრუტს „ნაციონალი"; წვენების საწურ „მულინექსს"; იაპონურ ჩაის მუსიკალურ სერვიზს 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-84-46.

■ ფირმა იყიდის უცხოურ პურჰელს. ტელ.: 95-94-70.

■ ვყიდი ახალ მაცივარს „სნაიგე 117", წარმოებული ლიტვაში, მსოფლიო სტანდარტების დონეზე, დიდი გასაყინი კამერით, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-04-06.

■ ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს (ნიჟარა კომპლექტში) და სამზარეულოს მაგიდას თავისი ოთხი სკამით. ტელ.: 98-57-67 (სახლი), 99-05-33 (სამსახური), მაია.

■ ვყიდი იუგოსლავურ „კედელს" პალირების გარეშე, სუფთა ხე. ფასი 1200 დოლარი, ტელ.: 99-05-33 (11-დან 4 სთ-მდე), 73-19-26 (4-დან ნებისმიერ დროს). იკითხეთ თამრიკო.

■ ვყიდი გერმანულ კაბინეტს, ლ-2 მარკის კაკლის ხისგან დამზადებული. გამოშვებული 1956 წელს, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-71.

■ ვყიდი შავი ფერის ანტიკვარულ ნახევრადსაკონცერტო გერმანულ როიალს „შრედერს", საიუბილეო გამოცემას, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-25-21.

■ ვილებ დაკვეთას — ვწეწავ და ვრეცხავ მატყლს, შევკერავ ლეიბსა და საბანს. ტელ.: 31-63-47, მარიკა.

■ ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს, ნიჟარას, სამზარეულოს მაგიდა-სკამებით და შეიდეული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-05-33 (დილით), 98-40-35, 98-57-67 (საღამოს).

■ ვასრულებ ელექტროშეკეთებით სამუშაოს. ტელ.: 37-58-27, საღამოს საათებში.

■ ვყიდი ფერად კინოფირებს 8-მილიმეტრიანი, სუპერი და ახალი ველოტრენაჟორს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-35-36, 29-27-67.

■ ვყიდი ინგლისური ჯიშის კოკერსპანიელის ლეკვებს შავი ფერის. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 51-19-12.

■ ვამზადებ მოსწავლეებს რუსულ ენაში. ვასწავლი სალაპარაკო ენას. ხარისხი უზრუნველყოფილია. ტელ.: 71-81-93.



## ცხონება

უნდა ჩვენსავით გცნობოდათ ბატონი რეზო გრიგოლია, რომ გაიზიაროთ ჩვენი დიდი ტკივილი და ვარამი, გამოწვეული მისი მოულოდნელი გარდაცვალებით. ბატონი რეზო დროული კაცი იყო, მაგრამ არ ველოდით მის ასე უდროოდ წასვლას ამ წუთისოფლიდან, თავადაც არ ფიქრობდა ასე...

ბატონი რეზო — ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი, გამოჩენილი პოლიგრაფისტი, წიგნის გამოცემის დიდოსტატი და უანგარო მეგობარი. თითქმის სამი ათეული წელი თავკაცობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბას და ბოლოს საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერებას", სადაც დღესაც, ამ დუხჭირ დროს, პოლიგრაფიულად თავმოსაწონებელი წიგნები ისტამბება.

ბატონმა რეზომ ამ 25 წლის წინ ავტორებისა და გამომცემლებისგან შეკრა მეგობართა წრე, რომელსაც „ამქრობა" შეარქვა, რითაც გაგვილამაზა და გაგვიმრავალფეროვნა ცხოვრება. „ამქრობის" წევრობით თავს იწონებდა ბევრი ჭეშმარიტი მამულიშვილი, მათ შორის საქართველოში ცნობილი ადამიანებიც.

რა გითხრას, ბატონო რეზო, შენმა „ამქრობამ" გამოთხოვების ჟამს? მხოლოდ მადლობა, უსაზღვრო მადლობა, რომ ამდენი წელია გვათბობს თქვენი კაიკაცობა, სიკეთე, სიყვარული და ხვალინდელი დღის რწმენა.

იცოდეთ, თქვენგან ფეხადგმული „ამქრობა" არ დაიშლება, ვიდრე სული გვიდგას თითოეულს და ვხედავთ მზეს მამულის ცაზე.

დაბოლოს, ბატონო რეზო, გვეამაყება თქვენთან მეგობრობა. თქვენ ხომ დიდებული მეუღლე, მამა და ბაბუა იყავით, ღვაწლმოსილი, ნამაგარი, ვალმოხდილი მშობლიური ერის წინაშე. მიდიხართ უსასრულო მარადიულობაში.

ნათელში გამყოფოთ, ჩვენო ტკბილო მეგობარო, ბატონო რეზო!

ნიკო ბერძენიშვილი, პეტრე კ[illegible]ავა, შოთა შენგელია, ბერდია ბუაჩიძე, ანტონ ლუჯაძე, თენგიზ მიორგაძე, ანტონ მამრიკიშვილი, ზურაბ ქაციტაძე, ზურაბ უკლება, ბიძინა ჯუმბურიძე, ირაკლი ლასურაშვილი, პროკოფი ხვიჩია.



# გასრულდა უძილო ღამეები

ესეც ასე — ატლანტის ოლიმპიური თამაშები ისტორიის კუთვნილება გახდა. მაინც, როგორ სწრაფად გაირბინა თექვსმეტმა დღემ. ძალზე ცოტაა — თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადებიდან ზოგი ორ-სამ თვეს გრძელდებოდა ხოლმე. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ატლანტაში ქართველი სპორტსმენები საშუალოდ კვირაში ერთ ბრინჯაოს მედალს ეუფლებოდნენ (მადლობა ღმერთს, ამის გამოსათვლელად მათემატიკის პროფესორობა არ იყო საჭირო), დავინახავთ, რომ რაც დიდხანს გაგრძელდებოდა თამაშები, მით მეტი ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი გვქონდა და შესაბამისად, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელებსაც მეტჯერ მიეცემოდათ იმის მიზეზი, რომ ატლანტის „ქართულ სახლში" ალა-ფურშეტები გაემართათ. თუმცა, როგორც ირკვევა, ისინი მიზეზებს დიდად არ დაგიდევდნენ — გაცხოველებული სტუმარ-მასპინძლობა ჰქონიათ გაჩაღებული. ქართველები, საერთოდ პურმარილიანი ხალხი ვართ და თადარიგიც დაუჭერიათ, ამ „ქართული სახლის" დიასახლისის თანამდებობაც შემოუღიათ და საერთოდ, ისე ირჯებოდნენ, თურმე კაცი იფიქრებდა, დღე არ გავა, ოქროს მედალი არ აიღონო. თუმცა, მერე რა, რომ ქართველი სპორტსმენები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, ქირსა შიგან გამაგრებაო, ხომ ჩვენი ნათქვამია და იმის მღერაც გვიყვარს, ბევრჯერ ვყოფილვართ შავ დღეში, მაგრამ არ დაგვიკვნესიაო. მოკლედ, სპორტულ არენებზე წარუმატებლად ვიასპარეზეთ, მაგრამ მაინც ყველას გააგებინეთ ჩვენი გაუტეხელი სულის ამბავი და „ქართული სახლის" სტუმარ-მასპინძლური უპირატესობაც დავამტკიცეთ. თუმცა, მეყოფა, მოვრჩები ამ თემაზე ლაპარაკს, მითუმეტეს, რომ საერთოდ არ ვაპირებდი ამ წერილში ქართველების შესახებ მელაპარაკა, მაგრამ ახლა რაღასა ვიქმ, ნათქვამს უკან ველარ დავიბრუნებ. ამჯერად, თამაშების ბოლო დღეების გამორჩეული მომენტების შესახებ მინდა ვისაუბრო, ხოლო ჩვენი სპორტსმენების ატლანტაში გამოსვლის შესახებ შემაჯამებელ წერილს ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

... ამერიკელებმა 4X100 მ-ზე ესტაფეტა წააგეს. ღირსები არიან, კარლ ლუისი იუკადრისეს — რამხელა ეგოისტია, მეათე ოქროს მედალი მოინდომა, ჩვენ რა, ნაკლები ბიჭები ვართო. ნაკლებნი არიან, ქვეყანამ ნახა, ვილაც მიტჩელი, თუ დრეძმონდი ლუისის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირან. დონოვან ბეილიმ მშრალზე დატოვა ეს ტრაბახა ბიჭები, დიდ კარლს კი ოლიმპიადების აბსოლუტური რეკორდის დამყარების საშუალება არ მიეცა.

ლუისის გარდა, ბევრი ბრიუს ბაუმგარტნერი დამენანა. როგორ წააგო არც თუ ძლიერ რუსთან, თან შანსიც არ ჰქონდა. მერე, მეორედ რომ შეხვდა, კი მოუგო, მაგრამ რად გინდა, მხოლოდ ბრინჯაო ხვდა წილად, ვერ მოიპოვა მესამედ ოლიმპიური ჩემპიონის სახელი. აი, ფელიქს სავონმა კი თავისუფლად მოახერხა ამის გაკეთება და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ფიდელ კასტრო სიკვდილს არ აპირებს და, აქედან გამომდინარე, 28 წლის სავონი პროფესიონალებში, ალბათ, კიდევ არ გადავა, ოთხი წლის შემდეგ, სიდნეიშიც ყველას აჯობებს და გახდება პირველი მოკრივე, ვინც ოთხი ოლიმპიადა მოიგო. ადრეცა ვთქვი, მისი გამლახავი კაცი მოყვარულებში არ არის. არც ამერიკელი კალათბურთელების მომგები გუნდია დედამიწაზე და კარგა ხანს არც იქნება. ამათ გინდა „ოცნების გუნდი" დავუძახოთ, გინდა ოლიმპიური ნაკრები, სულერთია — კალათბურთელთა ოლიმპიურ ტურნირებს აზრი დაეკარგა. ძველი დრო რომ იყოს და მთლიანი იუგოსლავია და საბჭოთა კავშირი არსებობდნენ, იქნებ პატარა წინააღმდეგობა გაეწიათ, ისიც იმ შემთხვევაში, დრაჟენ პეტროვიჩი რომ არ მომკვდარიყო და არვიდას საბონისსაც ახალგაზრდული ფეხები ჰქონდეს.

ანდრე აგასიმ ფინალში სერხი ბრუგეირას გადაუარა, შემდეგ ბრუკ შილდს ჩაეხუტა და მერე ისა თქვა, ოლიმპიადა დიდი შლემის ტურნირებს სულაც არ ჩამოუვარდება და ძალზე დიდი მნიშვნელობის მქონე ასპარეზობააო. არავინ დავობს, ანდრეც დიდი ოსტატია, მაგრამ ატლანტაში სამპრასი, მუსტერი და ბეკერი რომ ყოფილიყვნენ, აგასი ასე ვერ გაილაღებდა. ამ ჩოგბურთელებმა თვითონ თქვეს უარი თამაშებში მონაწილეობაზე. აი, მარადონასა და რომარიოს კი ძალიან უნდოდათ ოლიმპიადაზე გამოსვლა, მაგრამ დანიელ პასარელა და მარიო ზაგალო სხვაგვარად ფიქრობდნენ. საინტერესოა, ახლა რას ფიქრობენ... როგორი ამბავია, მსოფლიო ფეხბურთის გიგანტები ნიგერიასთან მარცხდებიან. ძალიან მაღლა აფრინდნენ ეს აფრიკელი შავი „სუპერარწივები" — კანუ და ოკოჩა, ამოკაში და ამუნიკე, ბაბანგიდა და ბაბაიარო... ახლა, ზოგი იტყვის, ოლიმპიური ფეხბურთის დონე დაბალია, მსოფლიოს ჩემპიონატზე აფრიკელები ამხელაზე ვერ გაქაჩავენო და ასე შემდეგ. ვინ იცის... არგენტინას და ბრაზილიას და ევროპელებსაც ახალგაზრდული ნაკრებები ჰყავდათ, მაგრამ ნიგერიასაც ხომ აკლდა თუნდ ჯორჯ ფინიდი. თანაც აშკარად მზარდი გუნდია, ახლგაზრდული და მე მგონი, ორი წლის შემდეგ, საფრანგეთში ნიგერიელები ბევრს გააწნარებენ. არა, ჩემპიონები ჯერ ვერ გახდებიან, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში ახალი, დიდი ანგარიშგასაწევი ძალა რომ გაჩნდა, ეჭვს აღარ იწვევს.

...გახარებული ბაბაიარო მალაყებს გადადიოდა. ხორვატმა ხელბურთელებმა კი ჯერ დაოთხილებმა მატარებელი გამართეს, შემდეგ კი მუცელზე იწყეს სრიალი დარბაზის ერთი ბოლოდან მეორეში — როგორია, ჯერ რუსებს მოუგეს, შემდეგ ფრანგებს, ბოლოს შვედებსაც. ცოტა უფრო ადრე პოლანდიელი ფრენბურთელები ზეიმობდნენ იტალიასთან გამარჯვებას. რა თამაში იყო — დიდი ფრენბურთი ამას ჰქვია.

სხვაც ბევრი იყო საინტერესო და ამაღელვებელი. ყველაფრის აღწერა ძნელია. არადა, ყველაფერი დამთავრდა. მერე ცეცხლიც ჩაქრა, თექვსმეტი დღის წინ მუჰამედ ალიმ რომ აანთო აკანკალებული ხელებით, დროშაც დაეშვა. სპორტის მოყვარულებისთვის ახლა ნორმალურად დაძინებაც შეიძლება.

**გიორგი ბერიკაშვილი**

## ოლიმპიადის დღიური

### პარასკევი, 2 აგვისტო

დაამთავრეს ასპარეზობა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა. ამ დღეს მედლების კიდევ 5



სტეფკა კონსტანტინოვა

კომპლექტი გათამაშდა. საქართველოს დელეგაციამ ბრინჯაოს მეორე მედალი მოიპოვა — 90 კგ. წონით კატეგორიაში ელდარ კურტანიძე მესამე ადგილზე გავიდა. კურტანიძე უკვე მეორე წრეში დამარცხდა უცნობ კორეელ მოჭიდავესთან, რომელმაც, თავის მხრივ, შემდეგი ორი ორთაბრძოლა წააგო. ამ დამარცხების გამო ელდარმა ველარ შეძლო მთავარ ფინალში გასვლა, სადაც ირანელი ხალემი და ვლადიკავკაზელი ხადარცევი შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვება ირანელმა მოიპოვა. 52 კგ. წონით კატეგორიაში როგორც იქნა მოიგო ოლიმპიადა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ბულგარელმა ვალენტინ იორდანოვმა. მან ფინალში აზერბაიჯანელი აბდულაევი დაამარცხა. მესამეზე ყაზახი მამიროვი გავიდა. 62 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ამერიკელმა ტომ ბრენსმა სძლია სამხრეთკორეელ იანგ ლუს. ბრინჯაოს მედალი თედეევს (უკრაინა) ხვდა წილად. 74 კგ. წონაში პირველი იყო კრასნოიარსკელი ჩეჩენი საიტიევი. ფინალში მანაც სამხრეთკორეელი მოჭიდავე დაამარცხა. მესამე იაპონელი იყო, და ბოლოს, მძიმე წონით კატეგორიაში მედლები ასე განაწილდა: ოქრო — დემირი (თურქეთი), ვერცხლი — მედვედევი (ბელორუსი), ბრინჯაო — ბაუმგარტრტნერი (აშშ).

წყალში მხტომელთა ბოლო სახეობა, ვაჟთა შორის კოშკიდან ხტომა მოიგო რუსმა საუტინმა. ამჯერად წარუმატებლად იასპარეზეს ჩინელმა სპორტსმენებმა, რომელთაგან საუკეთესო მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.

მშვილდოსანთა ტურნირზე, გუნდურ პირველობებში ადგილები ასე განაწილდა: ვაჟები — 1.აშშ; 2. კორეა; 3. იტალია; ქალები — 1. კორეა; 2. გერმანია; 3. პოლონეთი.

გამოვლინდა გამარჯვებული ჯგუფურ ვარჯიშში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შორის. აღიარებულ ფავორიტებს — ბულგარელებს, რუსებს, უკრაინელებს მოულოდნელად აჯობეს ესპანელმა ტანმოვარჯიშეებმა და ოქროს მედლები მოიპოვეს. მეორეზე ბულგარელები გავიდნენ, მესამეზე — რუსები. გაირკვა პრიზიორთა ვინაობა ჯგუფურ ვარჯიშში სინქრონული ცურვის ოსტატთა შორისაც — ამერიკელთა უპირატესობა აშკარა იყო. მეორეზე კანადელები გავიდნენ, მესამეზე — იაპონელები.

დასრულდა აფროსანთა რეგატა. ბოლო სახეობაში — „სოლინგის" კლასის იახტების რბოლის ფინალში გერმანელთა ეკიპაჟმა რუსი აფროსნები დაამარცხა.

ჩოგბურთელთა ტურნირზე გაიმართა ორი ფინალი. ვაჟთა შორის წყვილებში მსოფლიოს უძლიერესმა დუეტმა, ავსტრალიელებმა მარკ ვუდფორდმა და ტოდ ვუდბრიჯმა დაამარცხეს ბრიტანელები ბრეადი და პენმანი, ხოლო ქალთა ერთეულთა ფინალში აღინიშნა სენსაცია — ახალგაზრდა ამერიკელმა ლინდსეი დავენპორტმა ესპანელი არანტა სანჩესი დაამარცხა — 7:6; 6:2.

ბეისბოლისტთა ტურნირის ფინალში ვერ გავიდნენ მასპინძლები. მათ მხოლოდ ბრინჯაოს მედლები ხვდათ წილად. ოქრო კი კუბელებმა მოიპოვეს, რომელთაც ფინალში იაპონელები დაამარცხეს — 13:9.

მძლეოსნობაში მედლების ექვსი კომპლექტი გათამაშდა. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში პოლონელმა კორჟანოვსკიმ აჯობა რუსსა და ესპანელ ოსტატებს. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბადალი არ ჰყავდათ კენიელებს, თუმცა შიდაკენიური სენსაცია მაინც



ხორვატი ხელბურთელები გამარჯვებას ზეიმობენ

მოხდა — უძლეველ კიპტანუის კეტერმა აჯობა. საინტერესოდ მიმდინარეობდა ასპარეზობა ჭოკით ხტომაში. სერგეი ბუბკას არყოფნაში მთავარ ფავორიტებად რუსი და საერთოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოსული სპორტსმენები მიიჩნეოდნენ, მაგრამ მათ ფრანგმა გალფიონმა აჯობა. ქალთა შორის სიგრძეზე ხტომა ნიგერიელი ჩიომა აიონვას გამარჯვებით დასრულდა — 712 სმ. მეორე ადგილზე იტალიელი ზანგი ფიორი მაი გავიდა. სახელგანთქმული ვეტერანი ჯეკი ჯოინერ-კერსი, რომელსაც ასაკთან ერთად ტრავმაც უშლიდა ხელს, მესამე ადგილს დასჯერდა. ბირთვის კვრაში ყველას გერმანელმა ქალებმა აჯობეს.

### შაბათი, 3 აგვისტო

მოკრივეთა მარათონულ ტურნირზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები ექვს წონით კატეგორიაში. 48 კგ.წონაში ჩემპიონობა ბულგარელმა დანიელ პეტროვმა მოიპოვა. ფინალში მან ფილიპინელი მანსუეტო ველასკო დაამარცხა. ბრინჯაოს მედლები უკრაინელმა ოლეგ კირიუხინმა და ესპანელ... ლოსანომ მოიპოვეს. 54 კგ. წ... ნითი კატეგორიის ფინალში ... გრელმა იშტვან კოვაჩმა გან... მული კუბელი არნალდო ... დაამარცხა. მესამე ადგილზე ... ილანდელი ვიჩაირაჩანონ კხაღ... და რუსი რაიმჯულ მალახბეკ... გავიდნენ. 60 კგ. წონაში ჩემ... ონობა ალჟირელმა ხოსინ ს... ტანიმ მოიპოვა. ვერცხლი წი... ხვდა ბულგარელ ტონჩე ტონ... ხოლო ბრინჯაო — რუმ... ლეონარდ დოროფტეის და ამ... კელ ტერენს კოტინს. 67 ... წონითი კატეგორიის ფინა... ერთადერთმა რუსმა ფინალის... ოლეგ საიტოვმა კუბელი ... ერნანდესი დაამარცხა. ბრინჯ... მედლები რუმინელმა მარიან ... მიონმა და პუერტო-რიკო... დანიელ სანტოსმა მოიპოვეს. მაგიეროდ, დანარჩენ ორ წო... კატეგორიაში ოქროს მედ... კუბელებს ხვდათ წილად. 75 ... ში არიელ ერნანდესმა ... მალიკ ბეიროლლუს მოუგო. ... მე ადგილზე ალჟირელი მოხ... ბახარი და ამერიკელი ... უელსი გავიდნენ, ხოლო ქვემ... წონაში მესამედ მოიპოვა ო... პიური ჩემპიონის წოდება ... ფელიქს სავონმა. ფინალში ... კანადელი ზანგი დევიდ და... ბონი სცემა. ბრინჯაოს მედ... გერმანელმა ლუან კრასნიგი ... ამერიკელმა ნეიტ ჯონსმა მო... ვეს.

მედლების პირველი ექვს... მპლექტი გაითამაშეს ბაიდარ... და კანოეებით ნიჩბოსნობის ... ტებმაც. ა... იყო გერმ... სპორტსმენ... უპირატესობ... მათ სამი ო... მედალი ... წილად თით... თო ჩემ... ჰყავთ იტა... ჩეხ და ნორ... ელ ნიჩბოსნ... ცხენოს... გაითამაშეს ... დი პირვე... მედლები ... განჯრთნაში. ... პიონი გერ... იზაბელ ვერ... ხდა. მეორე... ადგილები ... დიელებმა ან... ვრიუნსვენმა და სვენ როტ... გერმა დაიკავეს.

დიდმა მიგელ ინდურაინ... იგო ინდივიდუალური სტ... რბოლა, რომელიც პირველა... ოლიმპიადების პროგრამაში ... ნილი. „დონ მიგელმა" ყველ... უმტკიცა, რომ მისი ჩამონერ... ადრეა. მეორე ადგილზე ... ერთი ესპანელი აბრაჰამ ... გავიდა, ხოლო მესამეზე — ... ტანელი კრის ბორდმენი.

კალათბურთელ ვაჟთა ფ...



დონოვან ბეილი: არის ოქრო ესტაფეტაში

ალთა „ოცნების გუნდმა"
დაამარცხა იუგოსლავიელე-
მესამე ადგილისთვის მატჩში
ავსტრალიას 80:74 მოუ-

ლბურთელ ქალთა შორის
მედლები დანიელებმა მოი-
ფინალში მათ წინა ორი
ის ჩემპიონები, კორეელები
ეს. მესამე ადგილზე უნგ-
გავიდნენ. კუბელი ქალების
ებით დამთავრდა ფრენბუ-
ტურნირი. ფინალში კუ-
ჩინელებს სძლიეს 3:1,
ის მედლები ბრაზილიელე-
მოიპოვეს. ბრინჯაოს
ხვდათ ბრაზი-
ის წილად ფეხბუ-
ვაჟთა შორისაც.
ადგილისთვის მა-
ათ პორტუგალი-
გაანადგურეს 5:0.
ლი ბებეტომ გა-
ფინალში კი, კი-
ნი სენსაცია მო-
ნიგერიელებმა
ელების დამარ-
ირ იქმარეს, და
სამხრეთ ამერი-
ანელს — არგენ-
მოუგეს 3:2.
ამერიკელები ორჯერ აგე-
1 და 1:2, მაგრამ ლოპე-
კრესპოს გოლები ბაბა-
და ამოკაჩიმ გაქვითეს,
მატჩის მინურულს ამუნი-
ეც შეაგდო და აფრიკულ
ის პირველი დიდი გამა-
მოუტანა.
ბურთელთა ტურნირზე ამ
ი ოქრო თამაშდებოდა და
წილად ხვდათ მასპინძლებს
იკელთა კერპმა ანდრე
ვილად 6:2, 6:3, 6:1
ა ესპანელი სერხი ბრუ-
ოლო ქალთა წყვილების
მერი-ჯო და ჯიჯი ფერ-
ს ჩეხები — იანა ნოვოტნა
ა სუკოვა დაამარცხეს —

ების ბოლოსწინა დღეს
ყველაზე მეტი — ცხრა
ი მძლეოსნობაში თამაშ-
სენსაციური შედეგით და-
4100 მ-ზე ვაჟთა ესტა-
კანადელებმა დონოვან
ირობით დაამარცხეს
აში უცვლელი ჩემპიონე-
ლები. გამარჯვებულებმა
ალი შედეგი — 37,69
ქალთა ესტაფეტა 4100
ელთა გამარჯვებით და-
მეორე-მესამე ადგილებზე
ინძლებისა და იამაიკის
ი გავიდნენ. ამერიკელ-
ები დასრულდა 4400
ფეტებიც, როგორც ქა-
ვაჟთა შორის. ბულგა-
სიმაღლეზე მხტომელმა
კა კოსტადინოვამ 205
და ოლიმპიური ჩემ-
მოიპოვა. მთავარი ფა-
გამარჯვებით დასრულ-
მტყორცნელ ვაჟთა
— ჩეხმა იან ჟელეზნიმ
დაუტოვა მეტოქეებს.
ენალმა ქალმა სვეტლა-
ვამ ატლანტაში მეორე
ოვა — 800 მეტრის
1500 მეტრ დისტანცი-
ჯობა. იგივე დისტა-
ა შორის ბადალი არ
რელ ნურედდინ მორ-
5000 მეტრზე სირ-
ა იყო კენიელი სტა-
რატესობა — პირვე-
გილები ნაუნგაბომ და
კავეს.

## ბავისტო

ის ბოლო დღეს მე-
კომპლექტი თამაშდე-
ბურთელ ქალთა ფინა-
ელთა უპირატესობა
ზე აშკარა იყო. მე-
თვის შეხვედრაში ავ-
მა უკრაინელებს

საოცრად დრამატული აღმოჩნდა ფრენბურთელ ვაჟთა ფინალი პოლანდიისა და იტალიის გუნდებს შორის. გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ მეხუთე პარტიაში, ტაი-ბრეკით გაირკვა — პოლანდიელები უფრო იღბლიანნი აღმოჩნდნენ და ბარსელონაში მოპოვებულ ვერცხლს ატლანტის ოქრო დაუმატეს. მესამე ადგილი იუგოსლავიელებს ხვდათ წილად, რომელთაც რუსები დაამარცხეს.

ხელბურთელ ვაჟთა ფინალში ხორვატებმა 27:26 დაამარცხეს შვედები. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ესპანელებმა მსოფლიოს ჩემპიონებს — ფრანგებს სძლიეს.



ანდრე აგასი

ექვსი მედალი გათამაშდა ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. ისევე, როგორც წინა დღეს, ამჯერადაც, სამი ოქრო გერმანელებს ხვდათ წილად. ორი ოქროს მედალი უნგრელებმა მოიპოვეს, ხოლო ერთი — იტალიელებმა.

მხატვრულ ტანვარჯიშში გაირკვა აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა — უკრაინელმა ეკატერინე სერებრიანსკაიამ შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს და ოქროს მედალი მოიპოვა.

ცხენოსნები ასპარეზობდნენ დაბრკოლებათა გადალახვაში. ჩემპიონის წოდება გერმანელმა ულრიხ კირხოფმა მოიპოვა. მეორე ადგილზე შვეიცარიელი ვილი ნელიგერი გავიდა, ხოლო მესამეზე — პოლანდიელი ალექსანდრა ლიდერმანი.

მოკრივეთა შორის გაიმართა კიდევ ექვსი ფინალური ბრძოლა — 51 კგ. წონაში კუბელმა მაიკრო რომეროშ ყაზახ ბულად ჯუმადილოვს სძლია. მესამე ადგილებზე რუსი ალბერტ პაკეევი და გერმანელი ზოლტან ლუნკა გავიდნენ. 57 კგ წონით კატეგორიაში ტაილანდელმა სომლუკ კამსინგმა ბულგარელი სერაფიმ ტოდოროვი დაამარცხა. ბრინჯაოს მედლები არგენტინელ პაბლო ჩაკონის და ამერიკელ ფლოიდ მეიუეთერს ხვდათ წილად. კიდევ ერთმა კუბელმა, ექტორ ვინენტმა იმარჯვა 63,5 კგ.წონით კატეგორიაში. ფინალში მან გერმანელი ოქტაი ურკალი დაამარცხა. მესამე ადგილებზე ყაზახი ბულად ნაზიმბეტოვი და ტუნისელი ფატიმ საუი გავიდნენ. 71 კგ. წონაში კუბელი ალფრედო დიუვერხალი დიდი უპირატესობით უგებდა ამერიკელ დევიდ რეიდს, მაგრამ მესამე რაუნდში კუბელმა ძლიერი დარტყმა გაუშვა და რეფერიმ საკმაოდ საეჭვო ნოკაუტი დააფიქსირა. ბრინჯაოს მედლები შუააზიელებმა, უზბეკმა ქარიმ ტულამჯანოვმა და ყაზახმა ეზმურან იბრაგიმოვმა მოიპოვეს. 81 კგ. წონაში ჩემპიონობა ყაზახეთის წარმომადგენელმა ვასილი ჟიროვმა მოიპოვა. ფინალში მან გერმანელი თომას ულრიხი დაამარცხა. მესამე ადგილებზე ამერიკელი ანტონიო ტერვერი და სამხრეთ კორეელი ლი სიუნ ბე გავიდნენ. დაბოლოს, მძიმე წონითი კატეგორიის ფინალში უკრაინელმა ვლადიმერ კლიჩკომ 140 კგ. წონის ტონგოელი პაეა ვოლფგრამი დაამარცხა. რუსმა ალექსეი ლეზინმა და ნიგერიელმა დუნკან დოკივარმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ფეხბურთი

# «დინამო» — «მოლდე» 2:1
# საკმარისია ეს ანგარიში?

„დინამო": ზოიძე, კობიაშვილი, ლობჟანიძე, კუდინოვი, ჩელაძე, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (დიდავა), ჯამარაული, ცქიტიშვილი (კვრიკაძე), ჯიშკარიანი, იაშვილი (ანჩაბაძე).

„მოლდე": მორტენ ბაკე, ტრონდ სტრიიდი (სინდერ რეკდალი), პიტერ კრისტიან ხინგსასი, კეტილ რუდფორდ პედერსენი, ოლე ერიკ სტავრუმი, კნუტ ანდერსი, ფოსტეროელდი, ოდ ინგე ოლსენი, პეტერ რუდი, არილდ სტ ვრუმი, დანიელ ბრეჯ მესტადი, ოლე ბიორ სუნდგოტი (რონალდ ვენასი).

მსაჯი: ჰიუ დილანი (შოტლანდია)

გოლები: მე-13 წთ. გოგიჩაიშვილი, მე-19 წთ. იაშვილი, 68-ე წთ. ერიკ სტავრუმი.

თამაშის წინ ნორვეგიელები იმედიანად იყვნენ განწყობილნი და მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავების სიმრავლით ვერ დაიკვეხნიან, გამარჯვების დიდი იმედიც ჰქონდათ. ნორვეგიელთა მწვრთნელი ოგე ჰერაიდი იმასაც ამბობდა: სამი თავდამსხმელით ვითამაშებთ და შევეცდებით, რომ დასახული ამოცანა პირველივე შეხვედრაში გადავჭრათო. რამდენად შეასრულეს სტუმრებმა ამოცანა, ამას ვერ გეტყვით, რადგან წინ განმეორებითი მატჩია და, ანგარიშის მიუხედავად, არა მგონია თბილისელებმა ფარ-ხმალი დაყარონ, მაგრამ ფაქტია, რომ სკანდინავიელები „დინამოსთან" სათამაშოდ მართლაც 4-3-3-ის ტაქტიკური სქემით გამოვიდნენ.

იმედიანი განწყობის მიუხედავად, პირველი ნახევარი ჩვენს სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. თბილისელებმა დებიუტშივე ხელთ იგდეს ინიციატივა. მოედნის ცენტრში უპირატესობა მოიპოვეს, სადაც ჯამარაული და კიკნაძე აქტიურობდნენ და უკვე მე-19 წუთისთვის ორჯერ დალაშქრეს მოწინააღმდეგის კარი. გაშვებული გოლების შემდეგ სტუმრებმა ტაქტიკური გადანაცვლება განახორციელეს. მე-7 ნომერი ოდ ინგე ოლსენი, რომელიც მანამდე სტოპერის ფუნქციას ასრულებდა, თავდამსხმელთა დასახმარებლად წინ წაწიეს და უპირატესობის მოპოვებას შეეცადნენ, მაგრამ ტაიმის ბოლომდე მათ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. აქვე უნდა ითქვას, რომ ნორვეგიელთა გააქტიურება ქართველ ფეხბურთელთა დაღლამაც განაპირობა.მარჯვენა ფრთაზე ვეღარ აქტიურობდა გოგიჩაიშვილი. სწრაფად ვერც ჯამარაულმა და კიკნაძემ ითამაშეს. აკი თქვა კიდეც დავით ყიფიანმა: _ ოლსენის წინ წაწევის შემდეგ ჯამარაულსა და კიკნაძეს ფართო სამოქმედო არეალი გაუჩნდათ. მათ რომ თავდამსხმელები დროული და სწრაფი გადაცემებით მოემარაგებინათ, ანგარიში გაცილებით უფრო დამაჯერებელი იქნებოდაო.

მეორე ტაიმი კვლავ მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. თბილისელებმა რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნეს და იაშვილსა და კვრიკაძეს უფრო ზუსტად რომ დაერტყათ, ჩვენებს შეიძლებოდა უკვე მომდევნო ეტაპზეც ეფიქრათ, მაგრამ ფორტუნამ ამჯერად მასპინძლებს ზურგი აქცია და მოხდა ის, რაც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე. ნორვეგიელების მიერ გატანილ გოლამდე თბილისელებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, რამაც თამაშის მსვლელობა უკუღმა დაატრიალა. მოედანი დატოვა ალექსანდრე იაშვილმა. ეს ფეხბურთელი მინდორზე უზარმაზარ სამუშაოს ასრულებდა და სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა სტუმართა ორი მცველი. იაშვილის გასვლის შემდეგ კი მცველები შეტევებში ჩაერთვნენ და შედეგმაც არ დააყოვნა. 68-ე წუთზე „მოლდეს" ერთ-ერთი იერიში მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებით და ერიკ სტავრუმის ზუსტი თავური დარტყმით დასრულდა _ 2:1. იაშვილის შეცვლის შესახებ თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმაც ცალსახა მოსაზრება გამოთქვა: იაშვილის ანჩაბაძით შეცვლა ნაადრევი აღმოჩნდა. ანჩაბაძისაგან მეტს მოველოდით. ვფიქრობ, ბურთს დაიჭერს, დროულ გადაცემებს განახორციელებს და დაღლილ გოგიჩაიშვილსა და ჯამარაულს შეეშველება მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვსურს. ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რა იყო ამ ფეხბურთელების გადაღლის მიზეზი, დავით ყიფიანმა უპასუხა: ჯამარაული და გოგიჩაიშვილი ინგლისში 23-ში წავიდნენ და 2 აგვისტოს დაბრუნდნენ. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელებმა მხოლოდ ორჯერ ივარჯიშეს და ბუნებრივია, რომ სასურველ ფორმაში არ არიან. უარყოფითი როლი ითამაშა დამღლელმა მგზავრობამაც. მართლაც, „დინამომ" მხოლოდ 70 წუთი ითამაშა. გაშვებული გოლის შემდეგ გუნდი იმდენად მოეშვა, რომ კინაღამ დამარცხდა. ასეა თუ ისე, თამაში თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ საკმარისია კი ეს ანგარიში მომდევნო ეტაპზე გასასვლელად? მიიუმეტეს, რომ პრესკონფერენციაზე სტუმართა მწვრთნელი იმედიანად იყო განწყობილი და აღფრთოვანებას ვერ მალავდა:

_ ჩვენი ერთადერთი შეცდომა ის იყო, რომ პირველ ტაიმში ორი ბურთი გავუშვით. თუმცა, აქ უარყოფითი როლი სიცხემაც ითამაშა. იმედი მაქვს, რომ ჩვენს ნამდვილ ძალას საპასუხო შეხვედრაში, უფრო ზომიერ კლიმატურ პირობებში გამოვავლენთ, სადაც მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ერთი გოლიც კი საკმარისი იქნება.

სტუმართა მწვრთნელის ამ აზრს გაიცნობულმა დავით ყიფიანმა ლოგიკური პასუხი გასცა:

— ეს კაცი ძალიან დარწმუნებულია გამარჯვებაში და მიაჩნია, რომ წარმატებისთვის ერთი გოლიც საკმარისი იქნება. რა თქმა უნდა „მოლდეს", ისევე, როგორც ჩვენ, გამარჯვების შანსი აქვს, მაგრამ რა გარანტია აქვს, რომ „დინამო" გოლს არ გაიტანს. უფრო მეტს გეტყვით, ფეხბურთი ისეთი თამაშია, რომ შეიძლება სტუმრადაც მოვიგოთ.

მოგება მოგებად, მაგრამ „მოლდემ" რითაც გვაჯობა, ეს არის მეორე სართულზე კარგი თამაში. ძალისმიერი ორთაბრძოლები და სისწრაფე. ამიტომ საპასუხო მატჩში თუ მათ გარღვევისთვის ხელსაყრელი სივრცე შევუქმენით და ფლანგებიდან ჩაწოდების საშუალება მივეცით, აუცილებლად წავაგებთ. ვფიქრობ, რომ განმეორებით შეხვედრაში ჩვენი ერთადერთი კოზირი ისევ შემტევი, ტექნიკური თამაში უნდა იყოს.

კახა ფარჯიაშვილი

# ოლიმპიადის საერთო ცხრილი საბოლოო მდგომარეობა

| ქვეყანა | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 44 | 32 | 25 | 101 |
| რუსეთი | 26 | 11 | 16 | 63 |
| გერმანია | 20 | 18 | 27 | 65 |
| ჩინეთი | 16 | 22 | 12 | 50 |
| საფრანგეთი | 15 | 7 | 15 | 37 |
| იტალია | 13 | 10 | 12 | 35 |
| ავსტრალია | 9 | 9 | 22 | 40 |
| კუბა | 9 | 8 | 8 | 25 |
| უკრაინა | 9 | 2 | 12 | 23 |
| სამხრეთ კორეა | 7 | 15 | 5 | 27 |
| პოლონეთი | 7 | 5 | 5 | 17 |
| უნგრეთი | 7 | 4 | 10 | 21 |
| ესპანეთი | 5 | 6 | 6 | 17 |
| რუმინეთი | 4 | 7 | 9 | 20 |
| ჰოლანდია | 4 | 5 | 10 | 19 |
| საბერძნეთი | 4 | 4 | — | 8 |
| ჩეხეთი | 4 | 3 | 4 | 11 |
| შვეიცარია | 4 | 3 | — | 7 |
| დანია | 4 | 1 | 1 | 6 |
| თურქეთი | 4 | 1 | 1 | 6 |
| კანადა | 3 | 11 | 8 | 22 |
| ბულგარეთი | 3 | 7 | 5 | 15 |
| იაპონია | 3 | 6 | 5 | 14 |
| ყაზახეთი | 3 | 4 | 4 | 11 |
| ბრაზილია | 3 | 3 | 9 | 15 |
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 1 | 6 |
| სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა | 3 | 1 | 1 | 5 |
| ირლანდია | 3 | — | 1 | 4 |
| შვედეთი | 2 | 4 | 2 | 8 |
| ნორვეგია | 2 | 2 | 3 | 7 |
| ბელგია | 2 | 2 | 2 | 6 |
| ნიგერია | 2 | 1 | 3 | 6 |
| ჩრდილოეთ კორეა | 2 | 1 | 2 | 5 |
| ეთიოპია | 2 | — | 1 | 3 |
| ალჟირი | 2 | — | 1 | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 8 | 6 | 15 |
| ბელარუსი | 1 | 6 | 8 | 15 |
| კენია | 1 | 4 | 3 | 8 |
| იამაიკა | 1 | 3 | 2 | 6 |
| ფინეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| ინდონეზია | 1 | 1 | 2 | 4 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 2 | 4 |
| ირანი | 1 | 1 | 1 | 3 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ხორვატია | 1 | 1 | — | 2 |
| სომხეთი | 1 | 1 | — | 2 |
| პორტუგალია | 1 | — | 1 | 2 |
| ტაილანდი | 1 | — | 1 | 2 |
| ბურუნდი | 1 | — | — | 1 |
| კოსტა-რიკა | 1 | — | — | 1 |
| ეკვადორი | 1 | — | — | 1 |
| ჰონგკონგი | 1 | — | — | 1 |
| სირია | 1 | — | — | 1 |
| არგენტინა | — | 2 | 2 | 4 |
| სლოვენია | — | 2 | — | 2 |
| ნამიბია | — | 2 | — | 2 |
| ავსტრია | — | 1 | 2 | 3 |
| უზბეკეთი | — | 1 | 2 | 3 |
| მალაიზია | — | 1 | 1 | 2 |
| მოლდოვა | — | 1 | 1 | 2 |
| ბაჰამის კუნძულები | — | 1 | — | 1 |
| ტონგო | — | 1 | — | 1 |
| ტაივანი | — | 1 | — | 1 |
| ზამბია | — | 1 | — | 1 |
| ლატვია | — | 1 | — | 1 |
| ფილიპინები | — | 1 | — | 1 |
| აზერბაიჯანი | — | 1 | — | 1 |
| საქართველო | — | — | 2 | 2 |
| ტრინიდადი და ტობაგო | — | — | 2 | 2 |
| მაროკო | — | — | 2 | 2 |
| ლიტვა | — | — | 1 | 1 |
| მექსიკა | — | — | 1 | 1 |
| მონღოლეთი | — | — | 1 | 1 |
| მოზამბიკი | — | — | 1 | 1 |
| უგანდა | — | — | 1 | 1 |
| ისრაელი | — | — | 1 | 1 |
| ინდოეთი | — | — | 1 | 1 |
| პუერტო-რიკო | — | — | 1 | 1 |
| ტუნისი | — | — | 1 | 1 |

# გთავაზობთ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს:

კოშიცე (სლოვაკეთი) — სელტიკი (შოტლანდია) 0:0
ლეგია (პოლონეთი) — ჰაკა (ფინეთი) 3:0
რაპიდი (რუმინეთი) — ლოკომოტივი (ბულგარეთი) 1:0
შლიემა უონდერერზი (მალტა) — ოდენსე (დანია) 2:2
ირაკლისი (საბერძნეთი) — აპოელი (კვიპროსი) 0:1
კროაცია (ხორვატია) — სპარტაკი (რუსეთი) 3:1
პარტიზანი (იუგოსლავია) — ნაციონალი (რუმინეთი) 0:0
ლუნგბიუ (დანია) — მურა (სლოვენია) 0:0
ჰალმშტადი (შვედეთი) — ვარდარი (მაკედონია) 0:0
დინამო (რუსეთი) — ჯაზი (ფინეთი) 1:1
ჟალგირისი (ლიტვა) — აბერდინი (შოტლანდია) 1:4
ვასუტასი (უნგრეთი) — ბერი თაუნი (უელსი) 3:1
ჰელსინბორგი (შვედეთი) — დინამო-93 (ბელარუსი) 1:1
ჰაიდუკი (ხორვატია) — ტორპედო (რუსეთი) 1:0
არაუ (შვეიცარია) — ლანტანა (ესტონეთი) 4:0
დინამო (ბელარუსი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 2:1
ჰიკი (ფინეთი) — ჩერნომორეცი (უკრაინა) 2:2
გრაცი (ავსტრია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 2:0
ანართოსისი (კვიპროსი) — ქსამაქსი (შვეიცარია) 1:2
სიგმა (ჩეხეთი) — შუტნიკი (პოლონეთი) 1:0
აკრანესი (ისლანდია) — ცსკა (რუსეთი) 0:2
სლავია (ბულგარეთი) — ტიროლი (ავსტრია) 1:1
სლოვანი (სლოვაკეთი) — ტრაბზონსპორი (თურქეთი) 2:1
სკონტო (ლატვია) — მალმიო (შვედეთი) 0:3
ბეითარი (ისრაელი) — ბოდო გლიმტი (ნორვეგია) 1:5
სტანდარდი (ბელგია) — კარლსრუე (გერმანია) 1:0



***

ინგლისში იყიდება პერსონალური კომპიუტერისთვის განკუთვნილი პროგრამა, რომელიც ადამიანს კროსვორდების ამოხსნაში ეხმარება. კომპიუტერში შეგყავთ გამოსაცნობი სიტყვის ასოთა რაოდენობა და უკვე ცნობილი ასოები, კომპიუტერი კი შესაძლო ვარიანტებს გიჩვენებთ. თქვენ ისღა დაგრჩენიათ, რომ შინაარსის მიხედვით შეარჩიოთ სიტყვა. ამ პროგრამის ლექსიკონში 170000 ინგლისური სიტყვაა.

***

ნიუ-იორკში არ არის საკმარისი რაოდენობის ციხეები. ამიტომაც ბევრი პატიმარი სასჯელს შინ იხდის ელექტროდარაჯის მეთვალყურეობის ქვეშ. მაჯაზე ან კისერზე მიმაგრებული რადიოგადამცემი განგაშს ტეხს თუ პატიმარი სახლიდან გასვლას შეეცდება.

***

პოლანდიურმა ფირმა „ფილიპსმა" გამოუშვა ელექტრონათურები „გამაფრთხილებლით". როცა




90-ვატიანი ძაფი გადაიწვება, აინთება სათადარიგო 20-ვატიანი ძაფი, რომელიც კიდევ ერთი კვირის განმავლობაში მოგემსახურებათ, სანამ ახალ ნათურას იყიდით.

***

მსოფლიოში ცნობილი პირველი სეისმოგრაფი გამოიგონა ჩინელმა ასტრონომმა ჩჟან ჰენმა 132 წელს. ეს გახლდათ ბრინჯაოს დიდი ჭურჭელი, რომლის გარშემოც განლაგებული იყო დრაკონის რვა თავი. მათ პირი ეღებოდათ და შიგ თავსდებოდა ბურთები. თვით ჭურჭელში მოთავსებული იყო ქანქარა, რომელიც საქაჩებით მაგრდებოდა დრაკონის თავებზე. მიწისძვრის შემთხვევაში ქანქარა ამოძრავდებოდა, საქაჩი დრაკონს პირს გააღებინებდა და ბურთი გადმოვარდებოდა. ეს საკმაოდ მგრძნობიარე ხელსაწყო გახლდათ და 600 კმ-ით დაშორებულ ეპიცენტრსაც კი აფიქსირებდა.



***

ორენოვანი ლექსიკონები, რომლებიც ადამიანის ენიდან სიტყვას ცხოველთა ენაზე თარგმნიან, ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ მსგავს პრობლემას იკვლევენ პარმის (იტალია) უნივერსიტეტის თანამშრომლები. ორნიტოლოგთა მუშაობამ გარკვეული შედეგებიც გამოიღო. არასრულყოფილ ადამიანის ყურს გამომთვლელი მანქანები მიეშველნენ, რომლებიც წამში ახდენენ ფრინველის იდენტიფიცირებას და მისი გზავნილის გაშიფრვას. ეს არც ისე იოლია, თუ გავითვალისწინებთ, რომ, მაგალითად, ბულბული 1/8 წამში 7 ნოტს გამოსცემს. დღეისთვის ბევრი მუსიკალური ფრაზის გაგება მოხერხდა. ამ ბოლო დროს უფრო გასაგები გახდა თევზების ენაც. თევზი ორი ძირითადი ტიპის ბგერას გამოსცემს. პირველს განეკუთვნება უფრო აგრესიული ხასიათის ბგერები, რომელთაც იგი თავისი ტერიტორიის დაცვისას გამოსცემს, მეორეს კი ბგერები, რომლებიც საწინააღმდეგო სქესის არსებას ეძლევნება. ასე რომ, კომპიუტერიზებულ ბიოაკუსტიკას დიდი მომავალი აქვს.

***

ტურინელი ჯამპიეტრო ლუპი პირველი მონანიე ბეწვეულის მკერავია. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო დროს ის მხოლოდ ხელოვნურ ბეწვეულზე მუშაობს და „ეკოლოგიურ" ნაწარმს ქმნის. ამას წინათ მან განაცხადა, რომ თანახმაა იმუშაოს ნატურალურ ბეწვეულზე, თანაც უფასოდ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი თავად მოიყვანს საჭირო რაოდენობის ცხოველებს და მკერავის თვალწინ თავისი ხელით გამოჭრის მათ ყელს. ამ გზით ლუპის სურს, თვალნათლივ დაანახოს ყველას, თუ როგორ ნადგურდება ველური ბუნება ვილაცის ახირების და მოდის გულისთვის.

***

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ნუმიზმატი ამერიკელი ბრიუს მაკნელია. მონეტების შეგროვება მან რვა წლის ასაკში დაიწყო და ამჟამად მისი კოლექცია 200 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

***

სამასი მილიონი სინათლის წელიწადის დაშორებით აღმოჩენილია გალაქტიკა, რომლის ვარსკვლავებიც საერთო ცენტრის გარშემო ძალიან სწრაფად ბრუნავენ. ამერიკელი მეცნიერების აზრით, ეს ცენტრი ზემასიური შავი ხვრელია.

***

ბენზინის გასამართ სადგურში მუშაობა საკმაოდ მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ამიტომ ფრანგულმა ფირმებმა



გადაწყვიტეს, ასეთ ადგილებში ადამიანი რობოტით შეეცვალათ. 100 ლიტრი ბენზინის ჩასხმას რობოტი 80 წამს ანდომებს.

***

გენური ინჟინერიის თანამედროვე მეთოდები საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნას დიდი ხნის წინათ დაღუპული ორგანიზმების გენები, თუკი მათი დნკ-ის მიკროსკოპული რაოდენობა მაინც არის შემორჩენილი. დნკ კი შეიძლება შემონახულ იყოს გვამში, მუმიაში. მათგან ამოღებული დნკ შეიძლება გამრავლდეს და გამოკვლეული იქნას. სწორედ ასეთი გამოკვლევის ჩატარებას აპირებენ ამერიკელი ბიოლოგები ლინკოლნის გვამზე. როგორც ცნობილია, აშშ-ის ეროვნული გმირი, მონათა განმათავისუფლებელი პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი მოკლეს თითქმის 130 წლის წინ. იგი დაკრძალულია ილინოისში სპრინგფილდის სასაფლაოზე. ვაშინგტონში მედიცინისა და ჯანმრთელობის ეროვნულ მუზეუმში კი მისი თმის, თავის ქალის ნაწილების და ექიმის სისხლით დასვრილი მანჟეტი ინახება.

***

კანადაში ალბერტის პროვინციის უნივერსიტეტში შეიმუშავეს შოკოლადის რეცეპტი, რომელიც სიცივის ამტანიანობას ზრდის. მასში შედის ბუნებრივი ნივთიე-



რებები (კაკაო, რძე, შაქარი, ზეთი, თაფლი და სხვა) და გემოთი არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი შოკოლადისგან. მაგრამ მას დამატებული აქვს კიდევ ერთი ნივთიერება (რომელი, ჯერ საიდუმლოა), რაც ორგანიზმში სითბოს გამოიმუშავებს.

***

ინდურმა კოსმოსურმა სააგენტომ წამოაყენა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსური ტექნიკის გამოყენებას ამ ქვეყანაში წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოსაფხვრელად. ეს სააგენტო აპირებს ორი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას, რომელთა მიზანი იქნება ნებისმიერ სოფელში წერა-კითხვის ტელეგაკვეთილების გადმოცემა. სოფლის მოსახლეობის 70 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. პროექტი შეფასებულია 150000 დოლარად.

***



როგორც ფრანგმა მკვლევრებმა დაადგინეს, მორიელის ელექტროენცეფალოგრამა ძალიან ჰგავს ადამიანის ელექტროენცეფალოგრამას.

***

მხოლოდ 90 ამერიკულმა კომპანიამ შეიტანა მსხვილი ფული გენურ ინჟინერიაში, იაპონიაში კი ამ პერსპექტიულ დარგში თავისი ფული ჩადო 230-მა ფირმამ.

***

ამერიკელმა ფიზიოლოგმა ჯოზეფ კრიველომ გამოიგონა პიჯაკზე ან ხალათზე მისამაგრებელი მინიინდიკატორი, რომელიც ჰაერში კანცეროგენული ნივთიერებების შემადგენლობას აფიქსირებს. ნორმის გადაჭარბების შემთხვევაში ინდიკატორი ფერს იცვლის.

***

ბულგარელი სოციოლოგების გამოკვლევით, ბულგარეთის მოსახლეობის 49,9 პროცენტს მხოლოდ ფიზიკური სამუშაოს შესრულება შეუძლია, 19,2-ს — მხოლოდ გონებრივის, 28,1-ს — ორივესი, ხოლო 2,8-ს საერთოდ არ შეუძლია მუშაობა ასაკის ან ავადმყოფობის გამო.

მოამზადა

რუსუდან ამირეჯიბმა

## პლანეტა „ჰოლივუდი"

## მაიკლ ჯექსონის და დაფეხმძიმდა

ჰოლივუდი ახალმა სენსაციამ შეძრა — ლა ტოია ჯექსონი, პოპულარული მომღერლის მაიკლ ჯექსონის და, როგორც იქნა დაფეხმძიმდა.

პოპ-მუსიკის 39 წლის დედოფალი უკვე 7 წელია გათხოვილია, მაგრამ ფრიად უკმაყოფილოა ქმრის სექსუალური შესაძლებლობებით. ადრე ამის შესახებ მხოლოდ ოჯახის ახლობლებმა იცოდნენ, მაგრამ ამას წინათ ლა ტოიამ მილიონობით ტელემაყურებელს შეატყობინა, რომ ჯეკი ლოგინში მოისუსტებს.

მაგრამ — ვაშა! ექიმებმა ორსულობა დაადასტურეს. ჯეკს შანსი გაუჩნდა ოჯახი შეინარჩუნოს, რომელიც ის-ის იყო უნდა დანგრეულიყო. რაც შეეხება მის სექსუალურ შესაძლებლობებს, მომღერლის განცხადება შეიძლება მთლად სიმართლეს არ შეესაბამებოდეს. თავად ჯეკმა კორესპონდენტებს განუცხადა: „იცით, მათ ოჯახში ყველა ისეთი ექსპანსიურია..."

## მამაძაღლი ერიკ დუგლასი



ცნობილი მსახიობის კერკ დუგლასის ვაჟმა ერიკ დუგლასმა დიდიხანია დებოშირის, სკანდალისტის და ეგოისტის სახ[...] იხვეჭა. ყველაზე ძვირად იგი საკუთ[...] ვილებს აფასებს, რის გამოც გარშემო[...] ნი ხშირად ზარალდებიან.

ამას წინათ ერიკი ნიუ-იორკიდ[...] ვერში მიფრინავდა ავიაკომპანია „[...] დის" თვითმფრინავით. მისი რეისებ[...] კომფორტით და საუკეთესო მომსახ[...] გამოირჩევა. მაგრამ ამჯერად მგზავრ[...] თობ შეწუხდნენ. საქმე ის გახლავ[...] დუგლასს თან ახლდა ეზოს ძაღ[...] რომელიც სალონში დაქროდა, უფ[...] რინებოდა და კბენასაც კი ცდილობ[...] პატრონი კი არაფერს იმჩნევდა და [...] პაჟის წევრთა თხოვნას ათხოვა ყურ[...]

უნდა ითქვას, რომ ამერიკე[...] უყვართ, როცა აწუხებენ. ტრაპზე [...] ლისას ერთ-ერთმა მგზავრმა განაცხ[...] „იუნაიტედს" აღარ ენდობა იმ მ[...] გამო. ვის გულისხმობდა იგი, ერიკს [...] ცნობილი არ არის.

## კროსვორდი

ვერტიკალურად: 1. შემნახველ სალაროში შეტანილი ფული; 2. მო[...] რწმენა, რომ რაიმე სურვილი, მიზანი განუხორციელდებათ; 3. რაიმე საკითხთან, ს[...] დაკავშირებული დოკუმენტები, ერთად შეკრებილი; 4. შეუბრალებელი, სისხლის[...] ადამიანი; 5. პირი, რომელიც საჯაროდ წარმოთქვამს სიტყვას; 7. ისტ.-გეოგრაფ[...] საქართველოში; 8. მეფის დროს — ყაჩაღი; 13. ცალკე თავი საჭმელი; 14. ხილის [...] უალკოჰოლო სასმელი; 15. ქართული ხალხური სიმღერა; 17. ვისიმე აზრო[...] ზედმეტი მზრუნველობით გალაღებული; 21. თმა გადაპარსული, ანუ – 22. პრო[...] ჩირქის, სითხის დაწრეტა სპეციალური მილის საშუალებით; 24. მომაბეზრებელი, [...] ხებელი, მოთმინებიდან გამომყვანი; 26. რომაულ მითოლოგიაში: ზღვის ღმერ[...] კანტორა, უწყება, სამმართველო... 29. კეთილი, გულკეთილი, ლმობიერი; 30. ნავთ[...] ან ქვანახშირისგან მიღებული შავი მკვრივი მასა;

ჰორიზონტალურად: 6. სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობი[...] ვევა სხვა სიტყვას, ხოლო მნიშვნელობითა და წარმოშობით განსხვავდება მ[...] სისხლის წნევისა და გულის მოქმედების დაქვეითება ერთბაშად, რასაც ხშირად თა[...] გონების დაკარგვა; 9. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 10. კუჭი; მუცელი. 11. პირი, რ[...] არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალ[...] ზღაპრული შინაარსის იგავი; 14. სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შო[...] რაიმე სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა; 18. მცირე ხმა; ჩქამი; 19. [...] ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელი ბრტყელძირა ნავი; 23. უდიდესი შემ[...] ბითი ნიჭი; 25. ფეხსახსრიანი ზღვის ცხოველი; 26. სხვადასხვა საქონლის დაწ[...] ფასები; 27. ოპერის, ბალეტის და სხვა მოკლე შინაარსი — დაბეჭდილი ბროშურა[...] ან თეატრალურ პროგრამასთან ერთად; 29. ქალის ყველაზე მაღალი სასიმღერო [...] დაფერდებული ადგილი; 31. ბულგარეთის ავტობუსის მარკა; 32. ტროპიკული [...]



რედაქტორ-გამომცემლები

ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე

გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია

პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

მორიგე რედაქტორი გიორგი ასანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7[...]